ახალი განათლება

2013 წელი, 4 -10 აპრილი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№14 (608) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

სახელმწიფო საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დააფინანსებს სტუდენტების სწავლას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ დარგებზე/სპეციალობებზე:

№	კოდი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	კონტინგენტი
	001	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
1.	0010101	ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა	200
2.	0010102	ისტორია	150
3.	0010103	არქეოლოგია	25
4.	0010104	ფილოსოფია	25
5.	0010105	განათლება	25
6.	0010201	მათემატიკა	100
7.	0010202	ფიზიკა	100
8.	0010203	ქიმია	100
9.	0010204	ბიოლოგია	100
10.	0010401	ეკონომიკა	400
	003	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	კონტინგენტი
1.	0030905	მათემატიკა	50
2.	0030904	საინჟინრო ფიზიკა	100
3.	0030101	მშენებლობა	500
4.	0030601	არქიტექტურა	150
5.	0030203	ინჟინერია (ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია)	450
	010	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	კონტინგენტი
1.	0100102	ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა)	50
2.	0100103	ისტორია	100
3.	0100203	არქეოლოგია	50
4.	0100202	ფიზიკა	100
5.	0100104	ბიოლოგია	50
	009	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კონტინგენტი
1.	0090101	ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა)	135
2.	0090108	ისტორია	50
3.	0090107	არქეოლოგია	25
4.	0090501	განათლება	200
5.	0090201	მათემატიკა	50
6.	0090203	ფიზიკა	25
7.	0090204	ბიოლოგია	60
8.	0090404	ეკონომიკა	90
9.	0090605	ინჟინერია (ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია)	60
	114	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კონტინგენტი
1.	1140109	ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა)	55
2.	1140101	მათემატიკა	30
3.	1140103	ფიზიკა	20
4.	1140105	ბიოლოგია	25
5.	140403	აგრონომია	20
6.	1140401	მშენებლობა	25
	012	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კონტინგენტი
1.	0120301	ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა)	15
2.	0120303	ისტორია	15
3.	0120302	არქეოლოგია	15
4.	0120201	ქიმია	10
5.	0120202	ბიოლოგია	10
6.	0120601	ეკონომიკა	10
	071	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კონტინგენტი
1.	0710111	ბიოლოგია	25

კონკურსი

პითაგორას თასი 2013

გვერდი 4-5

დირექტორთა კლუბი

წარმატების აუცილებელი პირობა – თანამშრომლობა

გვერდი 6

კონკურსი

„გაიგე მეზი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

გამარჯვებული თემები

გვერდი 8-9

ინფორმაცია

ჩემი საქართველო აქ არის

გზა ოსმალეთის ქართველებისკენ

გვერდი 11

აბიტურიენტთა ცნობარში დაშვებულია შეცდომა!

გაზეთის მე-3 გვერდის შუა სვეტში განთავსებული შეკითხვის – „რამდენი გამოცდის ჩაბარებაა აუცილებელი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად?“ – პასუხში,

ნაცვლად „დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით

5 წელი * 360 კრედიტი“,

უნდა ეწეროს: „დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით

6 წელი * 360 კრედიტი“.

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის

გეოგრაფია

12 ლარი



5 ლარი

4,5 ლარი

12 ლარი

8 ლარი

10 ლარი

4 ლარი

უსტარი



7 ლარი

გთავაზობთ ინტერაქტიულ პორტფოლიოს, რომელიც არის მასწავლებლის საქმიანობის და პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა დროის გარკვეულ მონაკვეთში. პორტფოლიო რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება, ახლავს მცირე გზამკვლევი.

საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს მასწავლებელთა პროფესიული მომზადება და განვითარება წარმოადგენს. სწორედ მასწავლებლის პორტფოლიოა ის მნიშვნელოვანი იარაღი, რომლის წარმოება, ანალიზი და შეფასება მას პროფესიული კომპეტენციის განვითარებაში დაეხმარება.

მოვემზადოთ გამოსაშვებ გამოცდებისთვის

5,5 ლარი

7,5 ლარი

6,5 ლარი

შეძენა შეგიძლიათ

თბილისი: გამომცემლობა „უსტარის“ მაღაზიაში
წინამძღვრიშვილის 119, ტელ: 296 40 81
აგრეთვე: თბილისის, ბათუმის, თელავის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში

www.ustari.ge

EAST EUROPEAN UNIVERSITY

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი 172

მიიღე ევროპული განათლება საქართველოში!

ჩვენი უპირატესობებია

- თანამედროვე სასწავლო პროგრამები
- მაღალკვალიფიციური პროფესურა
- დაბალი ფასი
- საუკეთესო ინფრასტრუქტურა
- გაცვლითი პროგრამები
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები ევროპის უნივერსიტეტებთან
- სტუდენტების დასაქმებაზე ზრუნვა
- სასერტიფიკატო კურსები

ბიზნესის ფაკულტეტი

ფინანსების საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

პროგრამის ხელმძღვანელი: ავთანდილ გაგნიძე

საბაკალავრო პროგრამის ღირებულება შეადგენს წელიწადში 2250 ლარს.

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სამართლის ბაკალავრი

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ ძლიერიშვილი

საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი მოდულებისგან:

- საჯარო სამართალი;
- კერძო სამართალი;
- სისხლის სამართალი;
- საერთაშორისო სამართალი.

საბაკალავრო პროგრამის ღირებულება შეადგენს წელიწადში 2380 ლარს.

სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფო დაფინანსებით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ფილოლოგიის ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა ბლუაშვილი

საბაკალავრო პროგრამის ღირებულება შეადგენს წელიწადში 2250 ლარს.

www.eeu.edu.ge

ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობით მართავს კონფერენციას თემაზე

„პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“

კონფერენცია ჩატარდება 2013 წლის 27-28 აპრილს სკოლა XXI საუკუნეში

კონფერენციაში მომხსენებლად და მსმენელად მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართულ მასწავლებლებს, სერტიფიცირებულ და არასერტიფიცირებულ პედაგოგებს.

❖ კონფერენციაში *მომხსენებლად* მონაწილეობის მსურველებმა დამატებითი ინფორმაცია და განაცხადის ფორმა იხილეთ სკოლა XXI საუკუნეს ვებგვერდზე – www.21saukune.ge და 2013 წლის 18 მარტამდე გამოაგზავნეთ მისამართზე – saukune_21@yahoo.com

❖ კონფერენციაში *მსმენელად* მონაწილეობით მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ საიხლეებს საგანმანათლებლო სფეროში და მოიპოვონ მასწავლებელთა პროფესიული სქემით გათვალისწინებული კრედიტები. კონფერენციაში *მსმენელად* მონაწილეობის მსურველებმა 2013 წლის 18 მარტამდე გაიარეთ რეგისტრაცია (სახელი, გვარი, სკოლა/დაწესებულება, პოზიცია, რომელ საგანს ასწავლით, საკონტაქტო ინფორმაცია) მისამართზე– saukune_21@yahoo.com ან დარეკეთ: 230 90 65, საკონტაქტო პირი * მარინა გელაშვილი

კონფერენციის ჩატარების ზუსტი დრო
და სხვა დამატებითი ინფორმაცია იხილეთ
სკოლის ვებგვერდზე – www.21saukune.ge

გისურვებთ წარმატებას!

ქართული, როგორც მეორე ენა

რამდენიმე სიტყვა ჩვენი პროექტის შესახებ

ინგა ბაგრატიონი

მართალია, რამდენიმე სიტყვა არ გამომივა, რადგან მეორე წელია ამაზე ვფიქრობ და ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ მაინც ვეცდები სიტყვა არ გამიგრძელდეს.

2 წლის წინ გავიგე, რომ ჩვენს განათლების სისტემაში მოქმედებდა პროექტი „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და ამ პროექტში ჩართული მასწავლებლები საკმაოდ სოლიდურ ხელფასს –1000 ლარს ღებულობდნენ. ჩვეულებრივი მასწავლებლის 300 ლართან შედარებით 1000 ლარი სერიოზული განაცხადია. გამიჩნდა სურვილი, მეც შევერთებოდი ამ პროგრამის მასწავლებლებს და გამიმართლა. მეც ვარ იმ 100-მდე მასწავლებელს შორის, რომელთაც ბევრი მასწავლებლის საოცნებო ხელფასი აქვს. მართალია, ამ წერილის წერა ხელფასზე სალაპარაკოდ არ დამიწყია, მაგრამ იმის გამო, რომ ეს საკითხი ბევრის ინტერესის საგანია, მაინც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას.

შენ ტოვებ სრულ დატვირთვას, დამსახურებულ სიყვარულს და პატივისცემას შენს სკოლაში, არც თუ ისე ცუდ შემოსავალს კერძო პრაქტიკიდან, უმუშევარ მეუღლეს, რადგან ვიღაც ხომ უნდა დარჩეს მოხუც მშობლებთან ბათუმში, გყავს ორი სტუდენტი თბილისში, უხდი სწავლის საფასურს, უხდი ბინის ქირას, ყიდულობ წიგნებს, მათთან ჩასვლას ნახევარი დღე და ჩამოსვლას მეორე ნახევარი და 40 ლარი უნდა, საკუთარ სახლში ჩასვლას 1 და ჩამოსვლას კიდევ 1 დღე და 60 ლარი, ადგილზე იხდი ბინის ქირას – 100 ლარს; შეშის, შუქის, გაზის საფასურს იხდი ბათუმში, თბილისსა და ახალქალაქში, სადაც 12 თვიდან 6 თვე მეტრანახევარი თოვლი და -20 გრადუსი ყინვაა... მსურველებს შეუძლიათ დაითვალონ და შეაფასონ, ამ პროგრამაში მხოლოდ ხელფასის გამო ვართ თუ... არის კიდევ რაღაც?

დამერწმუნეთ, ნამდვილად არის!

როდესაც პირველად უკუნეთ ღამეში მოვედი ამ სოფელში, რომლის სახელიც – ალასტანი – პირველად განაწილების დროს გავიგე, ცოტა არ იყოს შემეშინდა, რომ ასე შორს, ასე მაღლა ვერ გავძლებდი, ვერ დავრჩებოდი.

ღამეზე უფრო „საშიში“ დღე აღმოჩნდა, როდესაც ხედავ მიწურებით სავსე სოფელს (მერე იგებ, რომ აქ აღარავინ ცხოვრობს), ცარიელ სახლებს, ატალახებულ, ბინძურ სოფლის შუკებს და ვერ ხედავ ვერც ერთ ქართველს და არ გესმის არც ერთი ქართული სიტყვა – აი, მაშინ გიპყრობს პანიკა – რა უნდა ვქნა აქ მარტომ?!

(ერთადერთი შეკითხვა, რომელმაც დამაბნია გასაუბრების დროს, იყო ჩვენი პროექტის ხელმძღვანელის მაკო ჭილაშვილის შეკითხვა:

– შედიხართ კლასში, ამბობთ გამარჯობას, ვერავინ ვერაფერს ხვდება და არაფერს გპასუხობენ, რას გააკეთებთ?

პაუზა

– რუსულად დაველაპარაკები... (რუსულის სპეციალისტი ვარ განათლებით)

– არც რუსული არ იციან – გამომწვევად და თან იმედით მიყურებს ეს ახალგაზრდა ლამაზი გოგო.

– ეს შეუძლებელია! – არ მჯერა მე.

– მერწმუნეთ...

პაუზა... ვიგრძენი, როგორ გამიშრა პირი (პირველად ცხოვრებაში ვერ ვიპოვე სიტყვები), ვგრძნობ, რომ ხელებიც კი გამიოფლიანდა... პირველად ცხოვრებაში...

– მაშინ მე რობინზონი ვიქნები და ისინი პარასკევები...

მაკოს გაეღიმა და ვიგრძენი, შვებით ამოისუნთქა).

სოფელში მოსვლამდე ვფიქრობდი, რომ მაკოს მიერ დახატული სურათი ჰიპერბოლიზებული იყო, მაგრამ... ვცდებოდი! დიდხანს ვიყავი რობინზონი.

ქართულის ცოდნას ვინ ჩივის, როცა მხოლოდ „ჰაიასტან“ და „ჰაიკაკან“ გესმის სამასწავლებლოში, როცა მხოლოდ სომხური გაზეთი შემოდის სამასწავლებლოში, როცა ინვენტარს და წიგნებს სომხეთი უგზავნის უფასოდ, როცა ერევანში იმაზე ხშირად დადიან, ვიდრე მე ბათუმში ან თბილისში, გიჩნდება კითხვა – იცის კი ამ ხალხმა, რომელ სახელმწიფოში ცხოვრობს?

და უცებ გრძნობ, რომ ის 1000 ლარი არაფერია იმასთან შედარებით, რისთვისაც ხარ შენ, ინგა ბაგრატიონი, აქ, ამ ღმერთისაგან და ხალხისაგან დავიწყებულ სოფელში. მით უმეტეს მაშინ, როცა იგებ, რომ ეს სოფელი რაღაც მისტიკური ძალით პირადად შენთან არის დაკავშირებული (ალასტანი ქართველ მეფეთა – ბაგრატოვანთა საუფლისწულო ყოფილა. ლაშა-გიორგის ალასტნელი მეფე ერქვა, ის ნამყოფიც კი არის, თუ გაზრდილი არა, ამ სოფელში). ხვდები, რომ დამთავრებულია შენი საქმე, უკან წასასვლელი გზა მოჭრილია; აქ ხარ იმიტომ, რომ ეს შენს ქვეყანას სჭირდება, შენს ისტორიას სჭირდები აქ, იმ ლაშასდროინდელ დანგრეულ ეკლესიას, რომელსაც ხუთი ბოლნური ჯვარი და ქართული წარწერა ამშვენებს, სწორედ მას სჭირდები. შენ აქ, ამ სოფელში უნდა გადაარჩინო საქართველო და ქართული...!!!

ძალიან დიდი ტვირთია ერთი ადამიანისთვის, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და თითქმის შეუსრულებადი მისია. იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და მხარში ამოვუდგეთ, როგორც ნოდარ დუმბაძე იტყოდა. სწორედ ამიტომ ეს პროექტი უნდა გაძლიერდეს, გაიზარდოს და გამდიდრდეს იმისათვის, რომ ჩვენ ვიყოთ ბევრნი, ვიყოთ ყველგან და ყველას ყველგან შეგვეძლოს პატარა საქართველოს მოწყობა, თუნდ პატარა ქართულის კაბინეტის ფარგლებში.

ბედნიერი ვარ, რომ იმ სკოლაში, სადაც ვმუშაობ, ორი ქართველი ბაკალავრიც მყავს – ერთი ქართულის, ერთი ინგლისურის, ძალიან ნიჭიერი და მოტივირებული გოგონები. სწორედ ჩვენი აქ ყოფნის მიღწევაა ის, რომ ჩვენს სოფელში დღეში რამდენჯერმე ისმის „გამარჯობა“ და „ნახვამდის“, გაკვეთილებზე კი „ჩვენი დროის ათი მცნება“ ირჩევა. დიდი ხელშეწყობაა ქართული ენის დამკვიდრებისთვის ორენოვანი წიგნები სხვადასხვა საგანში, რომლებიც წელს შემოიტანეს სკოლებში. ეს იძულებულს ხდის მასწავლებელს, ზედმეტად შეგვეკითხოს, დაწეროს, დაიმახსოვროს. ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ სკოლაში, ხელს უწყობს ქართული ენის შესწავლას, მაგრამ ენის გამოყენების საჭიროება ჯერ კიდევ არ დგას მათ წინაშე. ამიტომ, მათი სწავლა მაინც პასიურ ხასიათს ატარებს. აქამდე სასერტიფიკაციო გამოცდას ელოდნენ, თავისი 200-ლარიანი დანამატით. ეს კარგი სტიმული და მოტივი იყო მათთვის, მაგრამ ახლა ეს პროცესი შეჩერდა. თუმცა, მაშინაც მიმაჩნდა, რომ ძალიან პრიმიტიული გამოცდის ჩაბარებას აზრი არ აქვს და სერიოზულს ესენი ჯერ ვერ ჩააბარებენ.

...უკვე მეორე წელია, მინდა მივაწვდინო ხმა მათ, ვისაც ეს ეხება, უფრო სწორად, მინდა ჩემი მოსაზრება გავუზიარო. არაქართულენოვან სკოლებში ეთნიკურ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში, ანუ იმ სკოლებში, სადაც ჩვენი პროექტის მასწავლებლები მუშაობენ, უნდა მოხდეს ადგილობრივი მასწავლებლების სტატუსის დადგენა (უმრავლესობა უდიპლომო ან არაპედაგოგიური განათლების მასწავლებელია), მოხდეს მათი მაძიებლის სტატუსში გადაყვანა და მათთან ერთად შევუშვათ კლასებში, სხვადასხვა საგნებში, ქართველი ბაკალავრები. ანუ მათემატიკოს ბიჭებს ქართულის კურირებას ნუკი ვთხოვთ, არამედ ისინი შევიდნენ მათემატიკისა და ფიზიკის გაკვეთილებზე თავისი ქართული ტერმინებით და ცოდნით, რომლის დონე, იმედი მაქვს, განსხვავდება აქ მოღვაწე მასწავლებლების აკადემიური დონისაგან. როდესაც ქართველი ისტორიკოსი ბაკალავრი შევა საქართველოს ისტორიის გაკვეთილზე, ადგილობრივ საქართველოს ისტორიის მასწავლებელთან ერთად, ის უფრო მეტს მისცემს, როგორც ბავშვებს, ასევე მასწავლებელს, როგორც საგანში, ასევე ქართულში სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებით, გაცნობით და დასწავლით.

მიმაჩნია, რომ ქართულთან ერთად სწორედ საზოგადოებრივი მეცნიერებები უნდა ისწავლებოდეს ამ სკოლებში ქართველი მასწავლებლების დახმარებით. ამით რამდენიმე საქმე გაკეთდება: ამ საგნების სწავლების აკადემიური დონე აიწევს, სახელმწიფოებრივი თვითშეგნება გაიზრდება, ქართველებიც მოვმრავლდებით და ეს სწორედ ის შემთხვევა იქნება, როცა რაოდენობა გადადის ხარისხში, ანუ ქართულის სწავლება უფრო შედეგიანი იქნება და ცოდნა საჭირო და აუცილებელი.

მესმის, რომ ამ იდეის განხორციელებას პატარა თანხები არ ეყოფა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს საკითხია უმაღლეს დონეზე დასაყენებელი და გადასაწყვეტი. მხოლოდ ინტელექტუალური და ენობრივი ექსპანსიით იქნება შესაძლებელი ამ რეგიონების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება და მათი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

რამდენიმე სიტყვას დაგპირდით და, როგორც ხედავთ, არ გამომივიდა, მაგრამ იმდენი რამ დამრჩა სათქმელი...

თუ დაინტერესდებით, როგორ ვმუშაობთ, რას ვაკეთებთ, რას ვაღწევთ მე და ჩემი კოლეგები, აუცილებლად მოგითხრობთ ჩვენი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

მართალია, ამ პროექტს ბევრი იცნობს, არაერთი გადაცემა და რეპორტაჟი მიუძღვნიათ მისთვის, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ არასაკმარისია და პროექტი „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ უნდა გაძლიერდეს და გაიზარდოს. საზოგადოება იმ მიღწევებისა და პრობლემების საქმის კურსში უნდა იყოს, რაც ჩვენს აქაურ ცხოვრებაშია და ვინც საჭიროდ ჩათვლის მხარი დაგვიჭიროს, გვერდში ამოგვიდგეს სახელმწიფო საქმის კეთებაში.....

მომავალ შეხვედრამდე!

პითაგორას თასი 2013-ის დაუსწრებელი II ტურის ამოცანების პასუხები და მითითებები

V კლასი (დაუსწრებელი) II ტური

პასუხები და მითითებები

5-2-1. ფერმერმა თითოეულ მყიდველს მიყიდა, რაც გააჩნდა, იმ ვაშლების რაოდენობის ნახევარი და კიდევ ნახევარი ვაშლი. მაშასადამე ფერმერს თითოეული გაყიდვის შემთხვევაში რჩებოდა 1-ით ნაკლები ვაშლი, ვიდრე ყიდდა. მაშასადამე, მეექვსე მყიდველს უყიდია ***1*** ვაშლი, მეხუთეს – ***2*** ვაშლი, მეოთხეს – ***4***, მესამეს – ***8***, მეორეს – ***16*** და პირველს – ***32*** ვაშლი. მაშასადამე ფერმერს სულ გაუყიდია ***1+2+4+8+16+32=63*** ვაშლი.

5-2-2. ამოცანის პირობიდან გამომდინარე, პირველმა შეიტანა ნავის ღირებულების ***1/3***, მეორემ – ***1/4***, მესამემ – ***1/5*** ნავის ღირებულებისა. ე.ი. მეოთხეს შეუტანია $1-\frac{1}{3}-\frac{1}{4}-\frac{1}{5}=\frac{13}{60}$ ნაწილი ნავის ღირებულებისა. ე.ი. ნავის ღირებულება ყოფილა $130:\frac{13}{60}=600$ ლარი. I-მა გადაიხადა $\frac{600}{3}=200$ ლარი, II-მ გადაიხადა $\frac{600}{4}=150$ ლარი, III-მ გადაიხადა $\frac{600}{5}=120$ ლარი.

5-2-3. ***157,5*** ლარი არის ***315*** ცალი ***50***-თეთრიანი, თუ გიორგის თითოეული ლარის ნაცვლად ექნებოდა ***2*** ცალი ***50***-თეთრიანი მაშინ მას ექნებოდა ***3***-ჯერ მეტი ***50***-თეთრიანი, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა მას. მაშასადამე მას ჰქონია ***315:3=105*** ცალი ***50***-თეთრიანი.

5-2-4. მეორე ნაწილი მეტია პირველზე ***50*** თეთრით, მესამე მეტია პირველზე ***2*** ცალი ***50***-თეთრიანით, მეოთხე – ***3*** ცალი ***50***-თეთრიანით და ა.შ. მერვე ნაწილი მეტია პირველზე ***7*** ცალი ***50***-თეთრიანით, მაგრამ ***1+2+3+4+5+6+7=28***, ხოლო ***28*** ცალი ***50***-თეთრიანი ტოლია ***14*** ლარის. მაშასადამე პირველი ნაწილი ყოფილა ***(46-14):8=4*** ლარი, მეორე – ***4,5*** ლარი, მესამე – ***5*** ლარი, მეოთხე – ***5,5*** ლარი, მეხუთე – ***6*** ლარი, მეექვსე – ***6,5*** ლარი, მეშვიდე – ***7*** ლარი, მერვე – ***7,5*** ლარი.

5-2-5. პასუხი: ***693:9=77*** ან ***696:8=87***.

VI კლასი (დაუსწრებელი) II ტური

პასუხები და მითითებები

6-2-1. ადვილი საჩვენებელი, რომ საათის ისარი და წუთების ისარი, ***0***-სთ-ის შემდეგ, ერთმანეთს ემთხვევა $\frac{12}{11}n$ სთ-ზე, სადაც ***n∈N*** არის ისრების დამთხვევის რაოდენობა ***0*** საათის შემდეგ. თუ კითხვა მიცემული იყო შუადღემდე, მაშინ ამოცანის პირობით გვაქვს:

$\begin{cases} 9<\frac{12n}{11}<10; \\ n\in N \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 8\frac{1}{4}<n<9\frac{1}{6}; \\ n\in N \end{cases} \Leftrightarrow (n=9)$ და კითხვა მიცემული იყო $\frac{12}{9}\cdot 9=\frac{108}{11}=9\frac{9}{11}$ სთ-ზე,

ხოლო თუ კითხვა მიცემული იყო შუადღის შემდეგ, მაშინ გვაქვს:

$\begin{cases} 21<\frac{12n}{11}<22; \\ n\in N. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 9\frac{1}{4}<n<20\frac{1}{6}; \\ n\in N. \end{cases} \Leftrightarrow n=20$ და კითხვა მიცემული იყო $\frac{12}{11}\cdot 20=\frac{240}{11}=21\frac{9}{11}$ სთ-ზე.

6-2-2. ფერმერს ყიდვის დასაწყისში ჰქონდა ***48*** ლარი. ვინაიდან თითოეული ჭუკი ღირდა ***3*** ლარი, ამიტომ ეს თანხა სრულად ეყოფა ***16*** ჭუკს, მაგრამ მაშინ ის ვერ იყიდდა ვერც ჭუჭულს და ვერც წიწილას. ე.ი. მას უყიდია არაუმეტეს ***15*** ჭუკისა. ვთქვათ ფერმერს უკვე ნაყიდი აქვს ჭუჭულები და წიწილები. თუ ჭუკი ეღირებოდა ***1*** ლარი, მაშინ ფერმერი ამ ნაყიდში გადაიხდიდა ***20*** ლარზე ნაკლებ თანხას და მას ***48*** ლარიდან დარჩებოდა ***28*** ლარზე მეტი. ეს დარჩენილი თანხა ფერმერმა უნდა დახარჯოს ჭუკებზე, დაუმატოს რა თითოეულ ჭუკზე ***2*** ლარი. ამოცანის პირობით მან დახარჯა მთლიანი თანხა. მაშასადამე უყიდია ***14*** ჭუკზე მეტი. ზემოთქმულიდან გამომდინარე ფერმერს უყიდია ***15*** ჭუკი, ე.ი. ფერმერს დაუხარჯავს ***48-15·3=3*** ლარი ***5*** ფრინველზე – ჭუჭულზე და წიწილაზე. თუ წიწილა ეღირებოდა ***1*** ლარი მაშინ ***5*** ფრინველში (ჭუჭულები და წიწილები) გადაიხდიდა ***5*** ლარს. ზედმეტი ***2*** ლარი წარმოიშვა იმიტომ, რომ თითოეულ წიწილზე ჩვენ გადავიხდიდით ***50*** თეთრ ზედმეტს. ე.ი. ფერმერს უყიდია ***2***ლ:***0,5***ლ***=4*** წიწილა და ***5-4=1*** ჭუჭული.

6-2-3. ***22·5=110=99+11***(1) ე.ი. ***22*** ცალი ***5***-ის ჯამი ***11***-ით მეტია ***99***-ზე. თითოეული ***5***-ის ***2***-ით შეცვლით, (1) ჯამი მცირდება ***3***-ით, ამიტომ ***2***-ები ჯამში უნდა იყოს არა უმეტეს სამისა. ამასთან ***2***-ების რაოდენობა ჯამში არ შეიძლება იყოს ლუწი ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ლუწი რაოდენობა ***3***-ებისა და ***5***-ების ჯამი ლუწია, რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას. მაშასადამე ***2***-ები შეიძლება ავიღოთ ან ***1*** ან ***3*** ცალი. ***3***-ების რაოდენობა ადვილად მოიძებნება თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თითოეული ***5***-ის შეცვლით ***3***-ზე ჯამი ***2***-ით მცირდება. მივიღებთ ორ ამონახსნს: ***1·2+4·3+17·5=99; 3·2+1·3+18·5=99***

6-2-4. თუ შეკრებთ რიცხვებს ***9, 8, 8, 9, 6, 4*** და ***4***-ს, მივიღებთ შვილების წლოვანებათა გაორკეცებულ ჯამს. ე.ი. შვილების წლოვანებათა ჯამი ტოლია ***24*** წელის. ვინაიდან პირველის და მეექვსის, მეორის და მეოთხის, მეოთხის და მეშვიდე შვილების წლოვანებათა ჯამი ტოლია ***8+9+4=21*** წელს, ხოლო ყველა შვილის წლოვანებათა ჯამი ***24*** წელია, ამიტომ მეხუთე შვილი ***3*** წლისაა და მაშინ მეორე შვილი იქნება ***5*** წლის. ვინაიდან მეორე და მესამე შვილის წლოვანებათა ჯამი ტოლია ***9*** წლის, ამიტომ მესამე შვილი ***4*** წლისაა. ვინაიდან მესამე და მეექვსე შვილების წლოვანებათა ჯამი ტოლია ***6*** წლის, ამიტომ მეექვსე შვილი ***2*** წლისაა. შემდეგ ვპოულობთ, რომ პირველი შვილი ***6*** წლისაა, მეოთხე – ***3*** წლის და მეშვიდე კი – ***1*** წლის.

6-2-5. პასუხი: ***97· 11=1067***.

VII კლასი (დაუსწრებელი) II ტური

პასუხები და მითითებები

7-2-1. თითოეული მოცემული ***25*** რიცხვიდან ცხრილში ჩაწერილია ***25***-ჯერ. ამასთან მთავარი დიაგონალის გარეთ გვხვდება ლუწჯერ. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გვხვდებიან მთავარ დიაგონალზე თითოჯერ.

7-2-2. შევნიშნოთ, რომ თითოეული ფიგურა ფარავს ან ***3*** შავ ან ***3*** თეთრ უჯრას, ხოლო დაფარვისათვის საჭიროა ***25*** ფიგურა, ამიტომ შეუძლებელია დაფის მთლიანად დაფარვა მოცემული პირობებით.

7-2-3.



ნახ.2



ნახ.3



ნახ.4

ამოხსნა ეყრდნობა იმ თვისებებს, რომ ნებისმიერი სამკუთხედის სიმაღლეები ან მათი გაგრძელებები ერთ წერტილში იკვეთება.

7-2-4. ვთქვათ ამოცანა უკვე ამოხსნილია და Δ***ABC*** არის საძიებელი სამკუთხედი. გავაგრძელოთ ***BM*** მედიანა ***MF*** მონაკვეთით (|***MF***|=|***OM***|). (იხ. ნახ.5)



ნახ.5

Δ***AOF***-ის გვერდები ტოლია Δ***ABC***-ს მედიანების სიგრძეების ***2/3***-ის. ე.ი. ჯერ ვპოულობთ Δ***ABC***-ს მედიანების ***2/3***-ებს, შემდეგ ამ მონაკვეთებით ავაგებთ Δ***AOM***-ს. შემდეგ გადავდებთ ***FO*** სხივზე ***O*** წერტილიდან ***OF***-ის ტოლ [***OB***]-ს. შემდეგ ***AO*** სხივზე გადავდებთ ***O*** წერტილიდან [***AO***]-ს ნახევარ [***OK***]-ს და ბოლოს ***BK*** სხივზე **K** წერტილიდან გადავდებთ [***BK***]-ს ტოლ [***KC***]-ს. ამრიგად ავაგებთ Δ***ABC***-ს.

7-2-5. შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი რიცხვების ციფრთა ჯამი არის ***300***, ის იყოფა უნაშთოდ ***3***-ზე და არ იყოფა ***9***-ზე.

VIII კლასი (დაუსწრებელი) II ტური

პასუხები და მითითებები

8-2-1. ვთქვათ ***x,y,z*** – არის ეს საძიებელი სამეულიდან. ადვილი საჩვენებელია, რომ თუ ***h*** არის ***x***-ისა და ***y***-ის საერთო გამყოფი, მაშინ ***h*** იქნება ***z***-ის გამყოფიც. ჯერ განვიხილოთ შემთხვევა, როცა ***(x; y)=(x; z)=(y; z)=1***. ვინაიდან ***(x+y)*** იყოფა უნაშთოდ ***z***-ზე, ამიტომ ***(x+y+z)*** იყოფა უნაშთოდ ***z***-ზე. ანალოგიურად ***(x+y+z)*** იყოფა უნაშთოდ ***x***-ზე და ***y***-ზე და მაშასადამე უნაშთოდ იყოფა ***xyz***-ზე, ვინაიდან ***(x; y)=(x; z)=(y; z)=1***. ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ ***x≤y≤z*** თუ ***x≥2***, მაშინ ***xyz≥2·2z=4z>3z>x+y+z*** ე.ი. შეუძლებელია ვინაიდან ***(x+y+z)*** უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ***xyz***-ზე. ე.ი. ***x=1***. ამრიგად ***(1+y+z)*** იყოფა უნაშთოდ ***yz***-ზე.

თუ ***y>2***, მაშინ ***yz≥3z>1+y+z*** რაც შეუძლებელია. ე.ი. ***y≤2***. ***(1+y; y)=1*** და ***(1+y+z)*** იყოფა უნაშთოდ ***yz***-ზე, ამიტომ ***(y+1)*** იყოფა უნაშთოდ ***z***-ზე ე.ი. ***(y+1)≥z***.

ე.ი. $\begin{cases} y+1\ge z; \\ y\le 2. \end{cases} \Rightarrow z\le 3.$ გადასინჯვით მივიღებთ, რომ სამი სამეული აკმაყოფილებს პირობას ***(1; 1; 1) (1; 1; 2) (1; 2; 3).*** საბოლოოდ გვაქვს, რომ ამოცანას აკმაყოფილებს მხოლოდ ***(n; n; n), (n; n; 2n)*** და ***(n; n; 3n),*** სადაც ***(n∈N)*** სახის რიცხვები.

8-2-2. ავაგოთ Δ***ABC***-ს გვერდებზე ერთმანეთის მსგავსი სამკუთხედები Δ***ABC₁***, Δ***BCA₁***, კუთხეებით: ***180°–Ĥ; 180°–K̂; 180°–M̂*** (იხ.ნახ).



აჩვენეთ, რომ ***O*** წერტილი მდებარეობს ***CC₁*** და ***BB₁*** წრფეების გადაკვეთის წერტილზე. ამ მიზნით აჩვენეთ, რომ ***O*** წერტილი მდებარეობს, როგორც Δ***ABC₁***-ზე, ასევე Δ***AB₁C***-ზე შემოხაზულ წრეწირზე.

8-2-3. ცხადია მოიძებნება ორი წერტილი ***A*** და ***B***, რომელთა შორის მანძილი უმცირესია. უმცირესი იმ წრეწირებიდან, რომლებიც ***A,B*** და დანარჩენი ***(n-2)***-დან თითოეულზე, არ მოიცავს (შიგნით არ მდებარეობს) მოცემული ***n*** წერტილიდან არცერთს (აჩვენეთ!).

8-2-4. აქ გამოვიყენოთ შემდეგი თვისება თუ $\begin{cases} a,b\in N; \\ a>b. \end{cases} \Rightarrow ((a;b)=(a-b;b)).$

(30n+2; 12n+1)=((30n+2)-(12n+1); 12n+1)=(18n+1; 12n+1)=
=((18n+1)-(12n+1); 12n+1)=(6n; 12n+1)=(6n; ((12n+1)-6n))=(6n; 6n+1)=1 რდგ

8-2-5. ვინაიდან მოცემული რიცხვთა რაოდენობა არის ***51*** და თითოეული მათგანი ან ერთნიშნა ან ორნიშნაა, ამიტომ მოიძებნება ისეთი ***6*** ათეული, რომ ერთში შედიოდეს მოცემული რიცხვების ***6*** რიცხვიანი ჯგუფი მაინც, მეორეში შედიოდეს – არანაკლებ ***5*** რიცხვიანი და ა.შ. რომელიმე ათეულში შედიოდეს ***1*** მაინც მოცემული რიცხვებიდან. (ამრიგად განსხვავებულ ათეულთა რაოდენობა არის არა ნაკლებ ***6***-ისა). ერთი ჯგუფის (ერთი ათეულის) ციფრები განსხვავებულია, ამიტომ თუ ავიღებთ რიცხვს ბოლო ჯგუფიდან, შემდეგ – ბოლოს წინა ჯგუფიდან (განსხვავებული ციფრით) და ა.შ. მივიღებთ საძიებელ რიცხვს განსხვავებული ციფრებით.

IX კლასი (დაუსწრებელი) II ტური

პასუხები და მითითებები

9-2-1. შემოვატრიალოთ Δ***ABN B*** წერტილის გარშემო ***90°***-ით ისე, რომ ***BN*** დაემთხვევა ***BK***-ს და დავამტკიცოთ, რომ ფიგურა ***CBA₁K*** – სამკუთხედია, ხოლო ***BE₁*** მისი შუახაზია.



აქედან ***F̂BE=180°***, ე.ი. $\begin{cases} [BE_1]\perp[EF]; \\ [BE_1]\parallel[CK]. \end{cases} \Rightarrow ((BE)\perp[CK]).$

კონკურსი

9-2-2. ვუწოდოთ ზედა და ქვედა ჰორიზონტალის უჯრებს საზღვრები, ხოლო დანარჩენებს კი – შუა უჯრები. საზღვრის უჯრებზე შეიძლება მოვხვდეთ მხოლოდ შუა უჯრიდან. თუ მხედარმა შემოიარა ამოცანის პირობაში მოცემული ყველა უჯრა, მაშინ შუა უჯრებიდან საზღვრის უჯრებზე გაკეთებულა ***2n*** სვლა. ცხადია, რომ დარჩენილი ***2n*** სვლა უნდა გაკეთდეს საზღვრის უჯრებიდან შუა უჯრებზე. მაგრამ თითოეული სვლის გაკეთებისას იცვლება უჯრის ფერი. აქედან გამომდინარე საზღვრის ყველა უჯრა ერთ ფერად არის შეღებილი, ხოლო შუა უჯრები კი – მეორე ფერად. მივიღეთ წინააღმდეგობა.

9-2-3. ვთქვათ, ***P*** მარტივი რიცხვის ***30***-ზე გაყოფისას განაყოფში მიიღება ***a***, ხოლო ნაშთში კი ***b***. ანუ ***P=30a+b***. დავუშვათ, რომ ***b*** – შედგენილია. ვინაიდან ***30***-ზე ნაკლები შედგენილ რიცხვს აქვს ***30***-თან ***1***-ისაგან განსხვავებული გამყოფი (შეამოწმეთ) ამიტომ ***P=30a+b*** იყოფა ამ გამყოფზე. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება იმას, რომ ***P*** – მარტივი რიცხვია.

9-2-4. შევნიშნოთ, რომ ***a<1, b<1, c<1***. ამასთან ადვილი საჩვენებელია, რომ ნებისმიერი ***x∈R***-სათვის $x(1-x)\le\frac{1}{4}$ (მართლაც $\left(x-\frac{1}{2}\right)^2\ge 0$ საიდანაც მივიღებთ $x(1-x)\le\frac{1}{4}$).

ე.ი. $\begin{cases} a(1-a)\le\frac{1}{4}; \\ b(1-b)\le\frac{1}{4}; \\ c(1-c)\le\frac{1}{4}; \\ a,b,c\in(0;1). \end{cases} \Rightarrow \left(a(1-b)\cdot b(1-c)\cdot c(1-a)\le\frac{1}{64}\right).$

მაგრამ თუ გადავამრავლებთ ამოცანის პირობით მოცემულ უტოლობებს:

$a(1-b)>\frac{1}{4};\ b(1-c)>\frac{1}{4};\ c(1-a)>\frac{1}{4};$ მივიღებთ $a(1-b)\cdot b(1-c)\cdot c(1-a)>\frac{1}{64};$ მივიღეთ წინააღმდეგობა. ე.ი. არ არსებობს ასეთი დადებითი ***a, b*** და ***c***.

9-2-5. ვთქვათ ***a*** – არის ცხრილის ყველა რიცხვიდან უმცირესი; ***p, q, r, s*** – რიცხვები, რომლებიც ჩაწერილია ***4*** მეზობელ უჯრაში. ტოლობიდან ***4a=p+q+r+s*** გამომდინარეობს, რომ ***(p-a)+(q-a)+(r-a)+(s-a)=0***. მაგრამ ვინაიდან თითოეულ ფრჩხილში გვაქვს არაუარყოფითი რიცხვი, ამიტომ ***a=q=r=s***. აქედან აჩვენეთ, რომ ცხრილის ყოველ უჯრაში ჩაწერილი რიცხვები ტოლია.

IX კლასი (დაუსწრებელი) II ტური

პასუხები და მითითებები

10-2-1. შევნიშნოთ, რომ

$10^n-1=99\underbrace{\ldots9}_{n\text{-ჯერ}}=9\cdot\underbrace{11\ldots1}_{n\text{-ჯერ}}$ ამიტომ $10^n+18n-1=9\cdot(\underbrace{11\ldots1}_{n\text{-ჯერ}}+2n)$.

ვაჩვენოთ, რომ ფრჩხილში მოთავსებული რიცხვი უნაშთოდ იყოფა ***3***-ზე. ამის დასამტკიცებლად ვისარგებლოთ იმით, რომ ნებისმიერი ნატურალური რიცხვი და ამ რიცხვის ციფრთა ჯამი ***3***-ზე გაყოფისას იძლევიან ტოლ ნაშთებს (დაამტკიცეთ!) ვთქვათ ***n*** ***3***-ზე გაყოფისას იძლევა ნაშთსს α-ს. ეს ნიშნავს იმას, რომ $n=3k+\alpha$, სადაც $k,\ \alpha\in Z_0$ და $\alpha\le 3$. მაგრამ ვინაიდან რიცხვ $\underbrace{11\ldots1}_{n\text{-ჯერ}}$-ის ციფრთა ჯამი ტოლია $\underbrace{11\ldots1}_{n\text{-ჯერ}}=3l+\alpha$-ის,

ამიტომ , სადაც $l\in Z_0$ საბოლოოდ გვაქვს

$10^n+18n-1=9\cdot(\underbrace{11\ldots1}_{n\text{-ჯერ}}+2n)=9(3l+a+2(3k+a))=27(l+2k+a)$.რ.დ.გ.

10-2-2. დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერი ნატურალური რიცხვის კუბი შეიძლება ჩაიწეროს მხოლოდ ***9k, 9k+1,*** ან ***9k-1*** სახით, სადაც ***k∈N***. აქედან გამომდინარე აჩვენეთ, რომ ***9k+4*** და ***9k+5*** სახის რიცხვების წარმოდგენა შეუძლებელია სამი ნატურალური რიცხვის კუბების ჯამის სახით.

10-2-3. ვთქვათ ტურნირში მონაწილეობდა ***m*** რაოდენობის ოსტატი და ***n*** რაოდენობის დიდოსტატი. მაშინ ტურნირში მიუღია მონაწილეობა ***(m+n)*** მოჭადრაკეს. თითოეულმა ოსტატმა დანარჩენ ოსტატებთან ითამაშა ***(m-1)*** პარტია. ამიტომ ოსტატები ერთმანეთში ითამაშებდნენ სულ (***m(m-1))/2*** პარტიას და მაშასადამე ჯამში დააგროვებდნენ (***m(m-1))/2*** ქულას. ზუსტად ასევე დიდოსტატებმა ერთმანეთთან თამაშში ჯამში დააგროვეს (***n(n-1))/2*** ქულა, ხოლო ოსტატებმა და დიდოსტატებმა ერთმანეთთან თამაშში ჯამში დააგროვეს ***mn***ქულა. ამოცანის პირობით გვაქვს (***m(m-1))/2+(n(n-1))/2=mn*** საიდანაც $m+n=(m-n)^2$ ე.ი. ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა წარმოადგენს სრულ კვადრატს ***10***-სა და ***23***-ს შორისასეთი რიცხვი არის მხოლოდ ***16***. ე.ი. ტურნირში სულ მონაწილეობდა ***16*** მოჭადრაკე.

10-2-4. განვიხილოთ მოცემული მიმდევრობა რიცხვ ***1 000 000***-ის გარეშე. მაშინ ყოველი დანარჩენი რიცხვის ნიშნადობა არ აღემატება ***6***-ს. ჩვენ შეგვიძლია ამ რიცხვებიდან თითოეული წარმოვადგინოთ „ექვსნიშნად“, თუ შევავსებთ რიცხვებს ექვსნიშნამდე მარცხნიდან ნულების მიწერით. მაგალითად, რიცხვი ***9999*** ჩავწეროთ ***009999***. სულ რამდენი ასეთი რიცხვია? ასეთი რიცხვების უდიდესი თანრიგში შეიძლება იყოს ნებისმიერი ათი ციფრიდან: ***0; 1; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9***. თითოეული ამ ციფრებიდან, რომლებიც აღნიშნავენ თანრიგის მომდევნო თანრიგში მდგომ ნებისმიერ ციფრთან და ა.შ. აქედან გამომდინარე სულ ვღებულობთ 10^6 ცალ „ექვსნიშნა“ რიცხვს. ამ რიცხვებიდან რამდენია ისეთი, რომელთა ჩანაწერშიც არ გვხვდება არც ერთი ერთიანი? გამოვრიცხოთ განხილულიდან თითოეულ თანრიგში ***1*** და მივიღებთ 9^6 ასეთ რიცხვს. აქედან გამომდინარე ისეთი „ექვსნიშნა“ რიცხვების რაოდენობა, რომლებიც ჩანაწერში შეიცავენ თუნდაც ერთ ***1***-იანს, ტოლია 10^6-9^6+1.

$\begin{cases} 9^6=521441 \\ 10^6-521441+1<521441. \end{cases} \Rightarrow \left(10^6-9^6+1<9^6\right)$

ე.ი. რაოდენობა რიცხვებისა, რომლებიც ჩანაწერში შეიცავენ თუნდაც ერთ ***1***-იანს, ნაკლებია დანარჩენთა რაოდენობაზე (საუბარია ***1***-დან ***1000000*** ჩათვლით ნატურალურ რიცხვებზე)

10-2-5. ვთქვათ Δ***ABC***-ში ტოლია ბისექტრისები ***AD*** და ***CE*** (იხ. ნახ). $B\hat{A}C=2\alpha;\ B\hat{A}C=2\beta.$



გავავლოთ ბისექტრისები [***CE***] და [***AD***].

გავავლოთ $\begin{cases} [DF]\parallel[AE]; \\ |DF|=|AF|. \end{cases} \Rightarrow$ (***AEFD*** – პარალელოგრამია) ⇒ ***|EF|=|AD|=|CE|*** (ამოცანის პირობით)

. ამრიგად ***∠EAD=∠EFD*** ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ $\alpha+\gamma=\beta+\delta$ (1). ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ $\alpha>\beta$. აქედან გამომდინარეობს, რომ ***|CD|> |EA|= |FD|***

|CD| >|FD|⇒γ>δ. $\begin{cases} \alpha>\beta; \\ \gamma>\delta. \end{cases} \Rightarrow (\alpha+\gamma>\beta+\delta).$ მივიღეთ საწინააღმდეგო ვინაიდან $\alpha+\gamma=\beta+\delta$.

10-2-5. II ხერხი. დამტკიცებისათვის გამოვიყენოთ ფორმულები, რომლებითაც ბისექტრისები გამოისახება სამკუთხედის გვერდების საშუალებით.

$\frac{bc(a+b-c)(b+c-a)}{(b+c)^2}=l_a^2=l_b^2=\frac{ac(a+b+c)(c+a-b)}{(a+c)^2}$ გამარტივების შედეგად მივიღებთ

$c(a+b+c)\cdot c(a-b)((a+b)(c^2+ab)+3abc+c^3)=0$

ვინაიდან ***(a-b)***-ს გარდა ყველა თანამამრავლი დადებითია, ამიტომ ***a-b=0*** ანუ ***a=b***.

(ეს მეთოდი გამოიყენა იაკობ შტაინერმა ამ ამოცანის დასამტკიცებლად 1844 წ. ეს ამოცანა ცნობილია შტაინერ-ლემუსის თეორემის სახელწოდებით).

XI კლასი(დაუსწრებელი) II ტური

პასუხები და მითითებები

11-2-1. გამოვიყენოთ ინდუქცია. ***n=4***-სათვის დებულება სამართლიანია. დავუშვათ დებულება სამართლიანია ***n=k***-სათვის. განვიხილოთ ***(k+1)*** წერტილისაგან შემდგარი ისეთი სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს ამოცანის პირობას. ავიღოთ ნებისმიერი ***k*** წერტილი. ისინი წარმოადგენენ ამოზნექილი ***k***-კუთხედის წვეროებს. (ინდუქციის დაშვების თანახმად). ადვილი საჩვენებელია, რომ ***(k+1)***-ე წერტილი არ შეიძლება წარმოადგენდეს ამ ***k***-კუთხედის შიგაწერტილს. ამისათვის დავყოთ ***k***-კუთხედი სამკუთხედებად ერთი წვეროდან გამოსული დიაგონალებით. გავაგრძელოთ ***k***-კუთხედის გვერდები ისე როგორც ნაჩვენებია ნახ.1-ზე.



ნახ.1

სიმარტივისათვის ნახატზე ნაჩვენებია შემთხვევა ***k=5***. აჩვენეთ, რომ ***(k+1)***-ე წერტილი არ შეიძლება მდებარეობდეს დაშტრიხულიდან არც ერთ არეში. თუ ***(k+1)***-წერტილი მდებარეობს დაუშტრიხავ არეში, მაშინ ***(k+1)*** წერტილი მდებარეობენ ამოზნექილი ***(k+1)***-კუთხედის წვეროებში.

11-2-2 ვინაიდან ნამრავლი რვანიშნა რიცხვია, ამიტომ საძიებელი რიცხვი არ შეიძლება ბოლოვდებოდეს ნულით. მაგრამ ნამრავლი იყოფა ***1000***-ზე, ამიტომ ერთ-ერთი თანამამრავლი არის ***125***-ის ჯერადი, ხოლო მეორე კი – ***8***-ისა. ***125***-ის ჯერადი რიცხვები, რომლებიც არ ბოლოვდებიან ნულით უნდა ბოლოვდებოდნენ: ***125***-ით, ***375***-ით, ***625***-ით ან ***875***-ით. თითოეული შემთხვევის ცალ-ცალკე განხილვით ვპოულობთ

$\overline{abcd}=6125;\ 6375;\ 4625;\ 4875,\quad \overline{dcba}=5216;\ 5636;\ 5264;\ 5784.$

კიდევ ოთხი პასუხის მიღება არის შესაძლებელი თუ $\overline{abcd}$-სა და $\overline{dcba}$-ს შევუცვლით ადგილებს.

11-2-3. განვიხილოთ დაფაზე ხაზების გასწვრივ ნებისმიერი განივი ან გრძივი წრფე. ის დაფას ყოფს ორ არედ, რომელთაგან თითოეულში იქნება ლუწი რაოდენობის უჯრები. მათგან ლუწი რაოდენობა (ეს რაოდენობა შეიძლება იყოს ნულიც) დაფარულია დომინოთი, რომელთაგან არც ერთი არ კვეთს არეების საზღვარს. აქედან გამომდინარე საზღვრის წრფე შესაძლებელია გადაკვეთოს მხოლოდ ლუწი რაოდენობის დომინოს ქვებმა ***0, 2, 4*** ან უფრო მეტმა. სულ ასეთი წრფეები არის ***102*** და იმისათვის, რომ თითოეული მათგანი გადაკვეთილი იყოს დომინოს ქვებით, საჭირო იქნება არანაკლებ ***204*** დომინოს ქვისა. ჩვენ კი გვაქვს ***200*** ქვა. ე.ი. არსებობს ერთი წრფე მაინც, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნას.

11-2-4



განვიხილოთ ორი მოსაზღვრე გვერდი ***AB*** და ***BC*** ამ პარალელეპიპედის ***ABCD*** წახნაგისა. მაგრამ ეს წიბოები არის გვერდები ***ABCD***-ს ტოლი ***ABXY*** და ***CBXZ*** პარალელოგრამებისა, რომლებიც წარმოადგენენ ამავე პარალელეპიპედის წახნაგებს. ***BX*** წიბო საერთოა. ვინაიდან ***AB*** და ***BC*** არიან შესაბამისი გვერდები ტოლი პარალელოგრამებისა, ამიტომ ისინი ერთმანეთის ტოლია. მაშასადამე ***ABCD*** – რომბია. მაგრამ ვინაიდან ეს წახნაგი იქნება აღებული ნებისმიერად, ამიტომ ყველა წახნაგი ამ პარალელეპიპედისა არის რომბი.

11-2-5



ცხრა წესიერი ტეტრაედრი არის შესაძლებელი კუბში. ამასთან ტეტრაედრის მოპირდაპირე წიბოები წარმოადგენენ კუბის მოპირდაპირე წახნაგების არაპარალელურ დიაგონალებს, ამიტომ ტეტრაედრის წიბოების შუა წერტილები დაემთხვევიან კუბის შესაბამისი წახნაგების ცენტრებს. მაშასადამე ტეტრაედრის მოპირდაპირე წიბოების შუაწერტილების შემაერთებელი მონაკვეთი გადის კუბის ცენტრზე მართობულია მოპირდაპირე წახნაგებისა და პარალელურია კუბის ოთხი წიბოსი, მაგრამ ვინაიდან კუბის საერთო წვეროს მქონე წიბოები არიან ურთიერთმართობულნი, კუბის მოპირდაპირე წახნაგების შუაწერტილების შემაერთებელი მონაკვეთები იკვეთებიან მართი კუთხით, ანუ ტეტრაედრის მოპირდაპირე წიბოების შუაწერტილების შემაერთებელი მონაკვეთები იკვეთებიან მართი კუთხით.

 დირექტორთა კლუბი

წარმატების აუცილებელი პირობა – თანამშრომლობა



ნუგზარ მოლაშვილი

❖ დაიბადა 1956 წლის 1 იანვარს. დაამთავრა თბილისის 71-ე საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი სპეციალობით: ისტორიკოსი, ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი.

❖ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლად.

❖ 1984 წლიდან დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა თბილისის 147-ე საშუალო სკოლაში, 1994 წლიდან აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დირექტორის მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელი და პედაგოგი იყო.

❖ არის რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი, სახელმძღვანელოთა კონსულტანტი, აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ნაშრომი და ერთი მონოგრაფია. წლების მანძილზე იყო მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი ოლიმპიადებისა და კონფერენციების ჟიურის წევრი, ხელმძღვანელობდა „მცირე უნივერსიტეტს“.

❖ არის რამდენიმე საერთაშორისო სემინარისა და კონფერენციის მონაწილე:

– ევროკომისიისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტი „სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული სტაბილურობის გაძლიერების შესახებ “(2003);

– ევროკლიო-მატრას პროექტი „ტოლერანტობის მშენებლობა ისტორიის სწავლების გზით“(2009-2011);

– „ევროპის ისტორიისა და მემკვიდრეობის კვლევა სკოლის პედაგოგთა დასახმარებლად“ (2011);

– „ისტორიანა“ (2011-2012), „საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე“ (2007-2008).

❖ მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის კონკურსი „ქართული სამყარო“ (2007-2011) და „ჩემი სვეტიცხოველი“ (2010). წელს მისი ინიციატივით ტარდება კონკურსი „მზით დაფერილნი“ (ერი და ეროვნული გმირი). იყო „მსოფლიო კულტურის“, ესეების კონკურსის ჟიურის წევრი.

❖ 1997 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის პრემია.

❖ 2002 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

❖ ამჟამად თბილისის №210 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას ასრულებს.

რა იყო მთავარი მოლოდინი სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობისაგან?

უპირველეს ყოვლისა, სისტემის ტოტალიტარული ცნობიერებისაგან გათავისუფლება, მასწავლებელთა დისკრიმინაციის შეწყვეტა, მათი ავტორიტეტის აღდგენა. სკოლა უნდა იქცეს მოსწავლეთა სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბების ჭეშმარიტ კერად, მთავარ საალმზრდელო დაწესებულებად, რასაც მხოლოდ თავისუფალი ადამიანები შეძლებენ. მხოლოდ ასე მოახერხებს განათლების სისტემა უმთავრესი მიზნის მიღწევას – ხარისხიანი განათლების მიცემას. მასწავლებლის პროფესია პრესტიჟული უნდა გახდეს.

წარმატებული სკოლის მოდელი

– დირექტორი, რომელიც სკოლაში კეთილგანწყობის ატმოსფეროს ქმნის;

– მასწავლებელი, რომელიც არ იშურებს ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას;

– სწავლაზე, ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული მოსწავლე;

– სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართული, დაინტერესებული მშობელი.

ბევრია, არა?!

სკოლა წარმატებულად ჩაითვლება, თუ ყველა მოსწავლე, განსაკუთრებით კურსდამთავრებული, თავის გზას მონახავს, საზოგადოებისათვის სასარგებლო გახდება. არის ქვეყნები, სადაც სკოლაში მასწავლებლად მოხვედრა გაცილებით ძნელია, ვიდრე პრესტიჟული ფირმის იურისტობა ან ცნობილი კლინიკის ექიმობა. ეს უნდა იყოს ორიენტირი.

სკოლის დირექტორისათვის, ისევე როგორც პედაგოგისათვის, აუცილებელია ნდობის მოპოვება. ხანდახან ამბობენ, ბავშვებს უნდა უყვარდეო! ვფიქრობ, ნდობის მოპოვება გაცილებით რთულია. ამბობენ, წარმატებას ხელს კონკურენცია უწყობსო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ, ვფიქრობ, და არა მარტო მე, წარმატების აუცილებელი პირობა თანამშრომლობაა.

თანამედროვე პედაგოგი

აუცილებლად უნდა იყოს შემოქმედებითი, უნდა ფლობდეს და იყენებდეს გაკვეთილზე უახლეს ტექნოლოგიებს, ქმნიდეს კლასში კლიმატს. პედაგოგთა მრავალათასიან ოჯახში(!) ისეთები, ჩვენ რომ მოწოდებით მასწავლებელს ვეძახით, არცთუ ბევრია, მაგრამ, თუ მასწავლებელი კეთილსინდისიერად, მაღალპროფესიულად უდგება თავის საქმეს, სისტემატურად იმაღლებს ცოდნის დონეს, არ არის მოწყვეტილი პედაგოგიურ და სამეცნიერო სამყაროს, ასეთი პედაგოგი ნამდვილად იმსახურებს დაფასებას.

მოარულია აზრი, რომ პედაგოგებს სერტიფიცირება არ სურთ, უფრო მეტიც, ეშინიათ. ეს ასე არ არის. მასწავლებელი არ არის და არც შეიძლება იყოს კვალიფიკაციის ამაღლების წინააღმდეგი, მაგრამ აუცილებელია სერტიფიცირების მოდელის შეცვლა. მასწავლებლის კვალიფიკაციის შეფასების ძირითად კომპონენტად გაკვეთილი უნდა იქცეს.

ეროვნული სასწავლო გეგმა

მუდმივი ცვლილებების რეჟიმშია და ასეც უნდა იყოს. რა კარგი სასწავლო გეგმაც არ უნდა გვქონდეს, მთავარი მიზანი მაინც კარგი სახელმძღვანელოა, რითიც დიდად ვერ დავიტრაბახებთ. სახელმძღვანელოს არა ერთ ავტორს დაუჩივლია, რომ უკეთესის შექმნა შეეძლო, სტანდარტი რომ არ უშლიდეს ხელს. კი, მაგრამ, ეს სტანდარტიც ჩვენი შედგენილი არ არის?!

მომზადდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც 2011-2016 წლებს მოიცავს. მისი დანერგვა დაწყებულია, მაგრამ ძირითადი ნაწილი 2013 წლიდან შევა ძალაში. ვნახოთ...

და კიდევ, სახელმძღვანელოს გრიფირება, მისი შეფასების კრიტერიუმები უნდა გახდეს საჯარო, უფრო გამჭვირვალე.

საატესტატო გამოცდები

ზოგადად საგამოცდო სისტემა მოითხოვს დახვეწას, მით უმეტეს დღეს. წლევანდელმა საატესტატო გამოცდებმა, რომელიც მთლიანად სკოლების ზურგზე გადაივლის, არ უნდა შეაფერხოს ამ სისტემის წინსვლა-განვითარება.

სკოლის მართვაში სამეურვეო საბჭოს ფუნქცია

ფაქტობრივად, ნულამდე იყო დაყვანილი, მიუხედავად საბჭოს, ჩემი აზრით, შეუფერებელი ბერკეტებით აღჭურვისა.

მოსწავლეთა თვითმმართველობა

საბჭოთა ეპოქის დროიდან არსებობდა კომკავშირის, პიონერიისა თუ სხვადასხვა კლუბებისა და კავშირების სახით, მაგრამ, თუ მოსწავლე აქტიურია და მოინადინებს საქმე აკეთოს (სწავლის გარდა, რა თქმა უნდა), თვითმმართველობაში საქმიანობა საუკეთესო საშუალებაა. ვიცი, რომ არსებობს მოსწავლეთა გაერთიანების ევროპული ალიანსი, რომელსაც ქართველი მოსწავლეებიც შეუერთდნენ და ძალზე შედეგიანადაც (ამაზე 42-ე სკოლის მაგალითიც მეტყველებს).

სკოლის დაფინანსება

დაფინანსების საკითხი ერთ-ერთი მტკივნეულია. ჩვენი სკოლა საჯარო სკოლაა, ჩვეულებრივი, სტანდარტული დაფინანსებით, მაგრამ სკოლის შენობა არასტანდარტულია: გვაქვს 500კვადრატული მეტრი მოსწავლეთა სასადილო (!), უზარმაზარი სპორტული დარბაზი, ულამაზესი რეკრეაციული ზონები, სააქტო დარბაზი და ა.შ. სკოლის საერთო ფართობი 10 ათას კვადრატულ მეტრს აღწევს. როგორ გინდა ასეთი სკოლის მოვლა-პატრონობა!? ჰოდა, ჩვენც სპონსორთა ძიებაში ვართ.

ჩემთვის, როგორც

ახლად დანიშნული დირექტორისათვის (მოვალეობის შემსრულებელი ვარ), პრიორიტეტია მოსწავლე დავაბრუნო სკოლაში, დავარწმუნო, რომ აქ შესაძლებელია ცოდნის მიღება. აქამდე სადაც მიმუშავია (სკოლებს ვგულისხმობ), ყველგან იყვნენ გამორჩეული მოსწავლეები, განსაკუთრებით 42-ე სკოლაში. იყო შემთხვევები, როდესაც მხოლოდ ერთ, ჰუმანიტარულ კლასში, ყველა მოსწავლე რესპუბლიკური ოლიმპიადისა და კონფერენციის, სხვადასხვა კონკურსის გამარჯვებული იყო. მაგრამ ეს წარსულში. 210-ე სკოლაშიც აღმოვაჩინე ასეთი მოსწავლეები. მათ სახელებს მალე გაიგებთ.

ისე კი, კარგი იქნება, თუ ყველა მოსწავლისათვის თანაბარი პირობები შეიქმნება...

იქ, სადაც განათლების დონე დაბალია, დანაშაულის ზრდის ალბათობაა მაღალი.

სკოლა გარკვეული ჩამოყალიბებული მიკროსამყაროა

ამ სამყაროში მოსწავლემ, მასწავლებელმა, მშობელმა ახლებური ურთიერთობა უნდა ისწავლონ. ყველა პრობლემა (არა კონკრეტული, პირადი) უნდა გახდეს საზოგადოების განსჯის საგანი. სკოლა საზოგადოების ინტერესის საგნად უნდა იქცეს.

თანამედროვე სკოლის წინაშე ბევრი საკითხი დგას: მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება კლასებში, გაკვეთილის სკოლაში მომზადებაზე დაფუძნებული მოდელის შემუშავება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, ყმაწვილის მოქალაქედ ჩამოყალიბება, მოქმედი მასწავლებლის მოტივაციის ამაღლება, სკოლაში მეცნიერთა მოზიდვა, მასწავლებელთა კარიერული და, შესაბამისად, ანაზღაურების ზრდის შესაძლებლობა... სკოლა მართლა უნდა იქცეს მოსწავლის საყვარელ ადგილად.

თავისუფალი დრო

ამ დროს ვფიქრობ იმაზე, რა და როგორ გავაკეთო არათავისუფალ დროს. სკოლაში საქმიანობის გარდა, ჩართული ვარ ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციაში, რომელიც, თავის მხრივ, ევროპული ოჯახის წევრია. წლების მანძილზე ვმონაწილეობ საერთაშორისო სემინარების მუშაობაში. ვარ თანაავტორი დამხმარე სახელმძღვანელოსი „როგორ ვიცხოვრეთ ერთად მეოცე საუკუნის საქართველოში?“, რომელიც რუსულადაც ითარგმნა. მალე ინგლისურ თარგმანსაც ველით.

სამომავლო გეგმები

ოქტომბრის ბოლოს, ჯერ კიდევ 42-ე სკოლაში ყოფნისას, იაკობ გოგებაშვილის კვირეული ჩავატარე, 14 დეკემბერს, უკვე 210-ეში, 1832 წლის შეთქმულებს მივაგეთ პატივი და სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონ ნინო ვახანიას წიგნის – „ჩვენი XIX საუკუნე“ განხილვით დავაგვირგვინეთ. ამავე დღეს გავხსენით უმცროსკლასელთა ნახატების გამოფენა „ჩვენ ვხატავთ მშვიდობას“. 25 თებერვალს „ოკუპაციის დღე“ აღვნიშნეთ, მარტში გალაკტიონის კვირეული და მისადმი მიძღვნილი წიგნის – „კომიკოსი ტრაგედიაში?“ განხილვა გვაქვს (ავტორი – რ. ჩხეიძე), აპრილის ბოლოს, სავარაუდოდ 23-ში, ვგეგმავთ ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილ კონკურსს – „ქართული სამყარო“, აპრილ-მაისში ეროვნულ გმირებზე ვიმსჯელებთ (კონკურსი „მზით დაფერილნი“).

სკოლის გუნდიც მესამე ტურში გადავიდა კონკურსისა „თბილისი – ქალაქი, რომელსაც უყვარხარ“...

ახლახან გამოვიდა 15 ნაწილად ჩაფიქრებული ჩემი საყმაწვილო ჟურნალის – „ჩემი სამშობლო“ და წიგნის – „დედაისტორია პატარებისათვის“ პირველი და მეორე ნაწილი...

ამას გარდა, გადავწყვიტეთ, სკოლაში გავხსნათ იაკობ გოგებაშვილის (ან „დედაენის“) და დავით სარაჯიშვილის კლას-კაბინეტები (სკოლა დავით სარაჯიშვილის ყოფილ მამულშია აგებული. აქვეა მისი წინაპრების მიერ აშენებული ეკლესია და ხიდი). დიდი დახმარების იმედი გვაქვს ფირმა „დავით სარაჯაშვილის“. ვნახოთ, რა გამოგვივა...

თვალსაზრისი

კომპიუტერი

ეთერ შერმადინი
კერძო სკოლა „პეგასი“, X კლასი

* * *

კომპიუტერული ტექნიკა ხალხმა მიიღო, როგორც აუცილებელი ნივთების ერთობლიობა, რომელსაც ცხოვრება ბევრად უფრო საინტერესო და საქმიანი უნდა გაეხადა. როგორც უფროსები ამბობენ, ბევრი მართლაც შეიცვალა: მიუხედავად მანძილისა, ადამიანებს მშობლიურ და ნებისმიერ უცხო ენაზე ერთმანეთთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება მიეცათ, რაც თავისთავად ენების შესწავლას უწყობს ხელს; დღეს უკვე შესაძლებელია საბუნებისეტყველო, ხელოვნების, რელიგიისა და სხვა დარგებში ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება, ეს კი მოზარდი თაობის მსოფლიო კულტურაში ორიენტირებისა და განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კომპიუტერული ტექნიკის არასწორად გამოყენებამ შეიძლება როგორც ცალკეულ პიროვნებას, ისე, ზოგადად, მომავალ თაობას ზიანი მოუტანოს.

ყოველწლიურად ინტერნეტქსელი სულ უფრო მეტ მომხმარებელს იძენს და ინტერნეტსივრცეში დადებული მასალის კონტროლირებაც შეუძლებელი ხდება. ამიტომ, ყველაზე მეტად ამ ქმნილებას ვერ უგებენ და აკრიტიკებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები. მათი ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენზია ისაა, რომ ისინი უკმაყოფილო არიან ახალგაზრდების წიგნისადმი დამოკიდებულებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ასაკის ადამიანები დღითი დღე შორდებიან წიგნს. ასაკოვან ხალხს ეს უკვირს,რადგან „არ შეიძლება ყუთმა, რომელიც ვითომდა ყველაფერს მოიცავს, ჩაანაცვლოს წიგნი“.

ახალგაზრდებს რომ ვკითხოთ, კომპიუტერისადმი უფროსების დამოკიდებულება არასწორია. ახალი ტექნოლოგიები მათთვის უმნიშვნელოვანესი გახდა. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, რომ გვქონდეს მყუდრო სავარძელი და ყველა სასურველი წიგნით სავსე ოთახი და მეორე ოთახი, რომელშიც მხოლოდ უახლესი კომპიუტერია, ბევრი ისე აირჩევდა მეორეს, არც დაფიქრდებოდა.

დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ ბავშვის ასეთი დამოკიდებულება ტექნიკისადმი დროის თავისებურებაა, რადგან კომპიუტერული ტექნიკა ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია. ჩვენ იმაზე უნდა დავფიქრდეთ, როგორ შეიძლება მისი კარგად გამოყენება. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შეიქმნას საშუალო დონის სასკოლო მიზნებისთვის გამოსადეგი სპეციალური ტექნიკა, რომლის ინტერნეტშესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდული იქნება. ჩვენ გვესმის, რომ ბავშვს თუ სურვილი აქვს, სხვა კომპიუტერში შევა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სპეციალურ კომპიუტერთან ურთიერთობის შემთხვევაში, სწავლის პროცესში მას ხელი არ შეეშლება. მით უმეტეს, სულაც არ არის აუცილებელი კომპიუტერი ბავშვის ოთახში იყოს. ის შეიძლება ნებისმიერ სხვა ადგილას მოთავსდეს და მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში იქნას გამოყენებული.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ XXI საუკუნეში წიგნმა მართლაც მეორე ადგილზე გადაინაცვლა. შესაძლებელი გახდა ნებისმიერი თხზულების წიგნის გარეშე წაკითხვა. ერთ-ერთი ასეთი სიახლეა ე.წ „ქინდლი“. ის საქართველოშიც მასიურად შემოვიდა გაყიდვაში, რაც მისასალმებელია. „ქინდლი“ ერთგვარი კომპიუტერია, რომელშიც ნებისმიერი წიგნი შეგვიძლია გადავწეროთ და, მცირე ზომის გამო, ყველგან თან ვატაროთ. მისი გამოყენება საკმაოდ მარტივი პროცედურაა. გასათვალისწინებელი ისიც არის, რომ „ქინდლი“ ჯანმრთელობისთვის პრაქტიკულად უვნებელია. რატომ არ შეიძლება განათლების სამინისტრომ შეიმუშავოს პროგრამა, რომელიც „ქინდლს“ ხელმისაწვდომს გახდის და მასში ლიტერატურული ნაწარმოების გარდა სასკოლო წიგნებიც შევიდეს. ეს უამრავ სასიკეთო ცვლილებას მოუტანდა მოსწავლეებს. სწავლის პროცესიც გამარტივდებოდა, ბავშვებისთვის თანამედროვე ტექნიკა ისეთივე ბუნებრივი მოხმარების საგანი იქნებოდა როგორიც არის რვეული, კალმისტარი და წიგნი. მეორე მხრივ, ეს სახალისოცაა და მძიმე ჩანთების ტარებაც არ გახდებოდა საჭირო.

ქინდლის და კომპიუტერის გარდა სხვა ტექნოლოგიებიც გვაძლევს საშუალებას, წავიკითხოთ სასურველი ლიტერატურა, თუმცა ამ შემთხვევაში სწორი იქნება, რომ ვთქვათ, მოვუსმინოთ სასურველ თხზულებას. MP3-ის გამოყენებით არა მარტო მუსიკის, არამედ წიგნის მოსმენაც შეიძლება, რაც ამავდროულად სასიამოვნო პროცესიცაა. სამწუხარო ისაა, რომ ბევრმა ეს არ იცის და არც საჭირო ლიტერატურაა ამ ფორმატში ხელმისაწვდომი. განათლების სამინისტროს ბევრი სასარგებლო სიახლის დანერგვა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური მიღწევა ცხოვრების ბუნებრივი ნაწილი უნდა გახდეს, ერთი რამ მაინც დანამდვილებით ვიცით: არიან ადამიანები, რომლებსაც წიგნის წაკითხვა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მიანიჭებს და რაც არ უნდა შეიცვალოს, საყვარელი წიგნის გადაფურცვლისას სულ სხვა შეგრძნება დაეუფლებათ.

* * *

ყოველი ახალი გამოგონება ადამიანის აზროვნებაში ბადებდა მოსაზრებას: „ეს ძველს მოკლავს“. ვითარება დღემდე არ შეცვლილა. უფროსი თაობის წარმომადგენლები აქტიურად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ კომპიუტერმა წიგნი ჩაანაცვლა. ჟურნალ-გაზეთებშიც უამრავ სტატიებს უძღვნიან თემას “წიგნი თუ კომპიუტერი”. ისმის კითხვა: საერთოდ სწორია საკითხის ასე დაყენება?

დრომ გვიჩვენა, რომ ტექნიკური პროგრესი ცუდი არ არის. მთავარია, ამა თუ იმ მიღწევას როგორ და რა მიზნებისათვის გამოვიყენებთ. როდესაც კომპიუტერის შეუზღუდავ შესაძლებლობებზე ვფიქრობთ, ხშირ შემთხვევაში, ამ სიახლეს არასერიოზული მომხმარებლის თვალით ვუყურებთ და მასში ჩვენი შემოქმედებითი უნარების რეალიზაციის საშუალებას ვერ ვხედავთ. მშობლები, ძალიან ხშირად, თავიანთი შვილების ინტერნეტსივრცესთან „24-საათიან რეჟიმში“ ურთიერთობის გამო წუხილს გამოთქვამენ. ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ეს „უვარგისი“ ნივთი მავნებელია; ცდილობენ, მხოლოდ აკრძალვისა და მუქარის გზით მიაღწიონ სასურველ შედეგს და ბავშვები ვირტუალურ სამყაროს მოწყვიტონ.

ჩემი აზრით, კომპიუტერი, რომელმაც უფროსი თაობის ადამიანებში ასეთი განგაში გამოიწვია, კი არ უნდა მოვაშოროთ ბავშვებს, არამედ მათთვის საჭირო, სასარგებლო და აუცილებელ ატრიბუტად ვაქციოთ. ალბათ, განათლების სამინისტრომ იმის შესახებ უნდა იფიქროს, რომ შექმნას სპეციალური სასწავლო და გასართობი პროგრამები, რომლებიც მოსწავლეთათვის სასარგებლო, ადვილად გამოყენებადი და სასიამოვნოც კი იქნება. ეს პროგრამები დაყოფილი უნდა იყოს კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით და უნდა მოიცავდეს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მთლიან პროგრამას. ერთსა და იმავე საგანს რამდენიმე მასწავლებელი უნდა კითხულობდეს. მოსწავლეს უნდა შეეძლოს აირჩიოს მისთვის სასურველი პედაგოგი, რომელიც ახსნის გაკვეთილს და დაეხმარება საშინაო დავალების მომზადებაში. ვარიანტების მრავალფეროვნება მასწავლებლის შემოქმედებითი უნარებიდან უნდა გამომდინარეობდეს, ამ პროგრამების სრულყოფისათვის მოსწავლეს საქმიანი კომენტარის გაკეთების საშუალება უნდა ჰქონდეს. მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს თავისი გაკვეთილის სრულყოფით და, საჭიროების შემთხვევაში, არსებულ მასალაში ცვლილებების შეტანის საშუალება უნდა ჰქონდეს. იმისათვის, რომ მოსწავლისათვის გაკვეთილების სწავლის პროცესი უფრო სასიამოვნო და საინტერესო გახდეს, შესაძლებელია, მაგალითად, ისტორიაში მოცემულ გაკვეთილს თემასთან დაკავშირებული საინტერესო ფილმი, ხოლო ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში ექსპერიმენტები, ცდები და ა.შ. დაემატოს. ასევე, ის ანიმაციური თამაშები, რომლებიც ბავშვს აგრესიულ ბუნებას უყალიბებს, შესაძლოა შეიცვალოს IQ ტიპის თამაშებით, რომლებიც ლოგიკური აზროვნების უნარს განუვითარებს. ერთი სიტყვით, საჯარო და კერძო სკოლების პარალელურად საჭიროა შეიქმნას „ინტერნეტ სკოლა“, რომლის დანიშნულებაც სასწავლო პროცესის ხელშეწყობა იქნება. ალბათ, ამ სკოლასთან სადისკუსიო კლუბი უნდა მოქმედებდეს.

სალომე ჯანიაშვილი
კერძო სკოლა „პეგასი“, X კლასი

კარგი იქნება, თუ აბიტურიენტების დასახმარებლად შეიქმნება ინტერნეტრეპეტიტორის სერვისი: ყველა საგანში აქაც ჩაიწერება ვიდეო გაკვეთილები და იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლისთვის რაიმე გაურკვეველი დარჩება, უნდა არსებობდეს სპეციალური საათი, რომლის დროსაც ონლაინ რეჟიმში მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცემა დაუკავშირდეს მასწავლებელს. ჩემი აზრით, ეს მომსახურება ყველა აბიტურიენტისთვის უფასო უნდა იყოს. თუმცა ვფიქრობთ, რომ განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემებიც ბევრი იქნება.

მშობლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კომპიუტერმა წიგნი ჩაანაცვლა, შეგვიძლია დავამშვიდოთ, რომ მან კი არ ჩაანაცვლა, არამედ იმდენი წიგნი დაიტია, რამდენიც არასდროს არც ერთ ბიბლიოთეკაში არ ყოფილა და მას, ვისაც ნამდვილად აქვს კითხვის სურვილი, ამაში ვერავინ და ვერაფერი ხელს ვერ შეუშლის. ერთადერთი რამ არის გასათვალისწინებელი – გამოქვეყნდეს რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ და რა ხანგრძლივობით გამოვიყენოთ კომპიუტერი, რათა მან ზიანი არ მოუტანოს მოზარდს.

ვფიქრობ, რომ ამ სახის ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად შეცვლის კომპიუტერის როლს ჩვენს ცხოვრებაში და იგი აღარც მშობლების კრიტიკას დაიმსახურებს, რადგან სწავლის პროცესიც მოსწავლისთვის ნაკლებად მოსაბეზრებელი იქნება. ბავშვს ნაკლები დრო დარჩება იმისათვის, რომ უსარგებლო, არასასურველი საქმიანობით დაკავდეს ინტერნეტში, რაც მართლაც ასეთი მავნებელია ადამიანისათვის.

სასკოლო ღონისძიება

„საქართველოა სამშობლო ჩემი“

სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა-ნათელა მურადაშვილი“ (დირექტორი – **ნათელა მურადაშვილი**) არაერთი სასიკეთო და ღირსშესანიშნავი ღონისძიების ავტორია. სკოლის მთავარი საზრუნავი და მოთხოვნა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ფორმა – პროექტების შემუშავებაა, რომელთა მომზადება მოსწავლეს შეძენილი უნარ-ჩვევების პრაქტიკულად გამოყენებას აჩვევს.

სწორედ ამ მიზნით, III-IV კლასების მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი „საქართველოა სამშობლო ჩემი“, რომელიც გულისხმობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ადათ-წესების, ისტორიის, გეოგრაფიის თუ კულტურული მემკვიდრეობის გაცნობას.

პროექტის პრეზენტაციის დღე არასოდეს დაავიწყდებათ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის სტუმრებს. სრულიად განსხვავებული, ორიგინალური ფორმით ჩატარებულმა ღონისძიებამ, რომლის ავტორიც პედაგოგი **თეა არახამია** გახლდათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვამოგზაურა: **ანა ჯიქიამ** – სამეგრელოში, **ანა მურღულიამ** – აფხაზეთში, **ლუკა გოგიჩაიშვილმა** – გურიაში, **თათა დადიანიძემ** – მთიულეთში, **მარი ჩიტაშვილმა** – ქართლში, **მარიამ ხორბალაძემ** – კახეთში, **სალომე ქოთუაშვილმა** კი – მესხეთ-ჯავახეთში. პარალელურად, ეკრანზე შუქდებოდა თითოეული კუთხის ამსახველი ვიდეომასალა, რომლის მუსიკალური გაფორმება პედაგოგმა **მედეა ბექაურმა** უზრუნველყო.

საღამომ კონფერენციის სახე მიიღო და მასში, პატარებთან ერთად, უფროსებიც აქტიურად ჩაებნენ.

მსგავსი ღონისძიებები სწავლების ხარისხის ამაღლებას ემსახურება, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სკოლის ადამიანურ, მატერიალურ რესურსებზე და სწორ სტრატეგიაზე, რაც ჩვენს სკოლაში თანმიმდევრულად ხორციელდება.

ლია კბილაშვილი
დირექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში

კონკურსი

„გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური

გამარჯვებული ნამუშევრები

საქორწინო ტრადიცია – „სადილის“ მიტანა აჭარაში

იდეის ავტორი – თამარ უღრელიძე XI კლასის მოსწავლე
პედაგოგი – მზია ჩელებაძე
დირექტორი – ნატო შამილაშვილი
სსიპ ბადრი ბერანძის სახელობის ქ. ქობულეთის №6 საჯარო სკოლა

საქართველო ტრადიციების ქვეყანაა, მათ შორის ყოველთვის მნიშვნელოვანი და გამორჩეულია ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციების შერწყმის დროს, წარსულის დანაშრევებზე შემორჩენილი ერთ ერთი მნიშვნელოვანი უძველესი რიტუალი აჭარაში „სადილის“ მიტანაა.

ჩემი დაინტერესებაც ამ თემით განაპირობა იმან, რომ თითქმის ყოველი ქორწინების შემდეგ მანდილოსნების სასაუბრო თემა ხდება პატარძლისთვის მირთმეული „სადილი“. ამ ძირძველი ტრადიციით დაინტერესებულმა გადავწყვიტე, მომეძებნა ქობულეთში განთქმული სადილის მეოსტატე. ასეთი ქალბატონი 80 წელს მიტანებული, ომახიანი და ლაღად მოსაუბრე ქალბატონი, ლილი ბებო გახლავთ, რომელიც დღემდე ერთგულად ემსახურება ამ კეთილ საქმეს.

მინდა გიამბოთ ის, რაც ლილი ბებოსგან გავიგე: „სადილის“ მიტანა პატარძლისათვის საინტერესო და უძველესი ტრადიციაა. ქორწილში გათხოვილი ქალიშვილის დედა მიდის ქალების თანხლებით და მიაქვს „სადილი“. ამ ტრადიციას ქალების სტუმრობა ჰქვია. „სადილი“ არის სპეციალურად მომზადებული ტკბილეული, რომლის მომზადების წესი თაობიდან თაობას გადაეცემა. მას სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ქალები ამზადებენ. „სადილი“, ძირითადად, შედგება ორი სახის ტკბილეულისაგან – შაქარლამა და ბაქლავა.

შაქარლამა მზადდება ბრინჯის ფქვილის, დაფქვეული შაქრის (ორთავე წყლის წისქვილში უნდა დაიფქვას) და უმაღლესი ხარისხის კარაქისაგან. იგი არ ცხვება. ქალები, რომლებსაც მოიწვევენ პატარძლის დედის ოჯახში დახმარებისათვის, ერთმანეთში ურევენ ბრინჯის ფქვილსა და შაქარს მანამ სანამ შაქარი და ბრინჯი არ გადაერთდება და გამდნარი კარაქით ზელენ, შემდეგ აძლევენ სპეციალურ ფორმას. საყურადღებოა ისიც რომ პატარძლის ოჯახის თითოეული წევრისთვის მზადდება სხვადასხვა ფორმის შექელამა, რომელიც უნდა მიირთვას იმან, ვის სახელზეცაა იგი დამზადებული.

ბაქლავა მზადდება პურის ფქვილის, კვერცხის, კარაქისა და თხილისაგან.

თავიდან მოზელილი ცომისაგან კეთდება პატარ-პატარა გუნდები, რომლებიც გაჰყავთ თხელ ფენად და თითოეულ ფენაზე ასხამენ გამდნარ კარაქს და აყრიან გატარებულ თხილს. სულ 50 ფენას. შემდეგ დაბალ ცეცხლზე ღუმელში აცხობენ. გამოცხობის შემდეგ ასხამენ საგანგებოდ მომზადებულ შარბათს. ტკბილეული იდება სპეციალურ კალათებში, იფუთება და მიაქვთ ქორწილში. ძველ დროში რაც უფრო შეძლებული იყო ოჯახი, მით უფრო მეტი რაოდენობის სადილი მიჰქონდათ, პატარძლის დედამთილი კი ტკბილეულობას ახლობლებს მიართმევდა, დღეს ეს ცოტა სახეშეცვლილია, სადილი მხოლოდ ქორწილში მოსულ სტუმრებთან გააქვთ მისართმევად.

ეს უძველესი და ლამაზი ტრადიცია სამომავლოდ თაობიდან თაობას გადაეცემა.

შელოცვა

იდეის ავტორი – თეონა ბასილაია
ხელმძღვანელი – ნონა ცაავა
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს საჯარო სკოლა
სკოლის დირექტორი – ნუნუ სილაგავა

ღმრთივ სათნო წმინდანებმა ღმრთისგანვე მიიღეს კურნებათა მადლი. ეკლესიური რწმენა ასახული საეკლესიო საგალობლებში და ლოცვებში თითქოს შეერწყა და გაერთიანდა ხალხურთან. ხალხს სჯეროდა შელოცვის ძალისა, რადგანაც ყოფილა შემთხვევა შელოცვით ამა თუ იმ ადამიანის გადარჩენის.

შელოცვის სიკეთე დღესაც მოქმედებს.

ჩემ მიერ შერჩეული ნიმუში ხელმისაწვდომია ადამიანებისათვის. ძლიერ დამაინტერესა შელოცვის საიდუმლოებამ. გადავწყვიტე, შემეკრიბა შელოცვები.

ჩაწერის დროს რწმენა განმტკიცდა ჩემში, რადგან ადამიანები მიხსნიდნენ, რომ შელოცვა უებარი წამალია.

მონაწილეთა რაოდენობა – 2, ავადმყოფი და შემლოცველი.

პროფესია – ექიმბაში, პედაგოგი, დიასახლისი.

მორიელის ნაკბენი

მორიელა, მორო სქუა,
ჩხორო დიდა, ჩხორო სქუა,
ვართი დიდა, ვართი სქუა,
ვართი გაუძნეა ჭუა.

თარგმანი:

მორიელა მორი შვილი
ცხრა დედა და ცხრა შვილი,
არც დედა, არც შვილი,
არც გაუძნელო ტკივილი.

მტკივნეულ ადგილზე მლოცველი ხელს უსვამს და ცხრაჯერ გაიმეორებს შელოცვას. ავადმყოფს ადვილად ურჩება ნაკბენი ადგილი.

ნაღრძობი

აბული აბულებულა,
გორვალი დაგორებულა,
აბული ბოლდებოდესო
ნაღრძობი მთელდებოდესო.

თქმულების მიხედვით, ჯავახეთში არის ვულკანური მოქმედების მთა – აბული, რომლის წვერო მეტყველებს იმაზე, რომ ერთ დროს იგი მოქმედი ყოფილა.

მთქმელი – **თინა სხულუხია**, 75 წლის, მცხოვრები სოფელ სალხინოში.

გველის ნაკბენი

საფო, სობორო, ფანია, ცატანა,
ფუი! ასე გააქარვე ყველა,
წმიდა ღვთისმშობელო!

შემლოცველთან მოდის ადამიანი, რომელსაც თხილის წკნელი უჭირავს. ის არაფერს არ ამბობს, შემლოცველი ხვდება ყველაფერს. აიღებს სამ ჭიქა წყალს, ჯერ შეულოცავს ერთ ჭიქას სამჯერ და დალევს. მეორე ჭიქა უნდა დალიოს იმან, ვინც ამბავს მოიტანს. მერე მესამე ჭიქას შეულოცავს სამჯერ.

გველის გასაჩერებელი

ალი, მალი, სალი, მალი
სალი მაკუდელაია,
აი ოდგიშ, ოდგიში
გვერს მეტახი ოჭიში
გვერს უღუს გედგუნა დო
გოლას ოხონაფუანა

თარგმანი:

ალი, მალი, სალი, მალი
სალი მაკუდელაია.
აი სადგისი, სადგისი
გველს უღელს დაადგამენ და
მთას მოახნევინებენ.

გველის მიერ დაკბენილი ადამიანი რაც უნდა შორს იყოს, შელოცვა მოქმედებს და შველის მას. როგორც კი შეულოცავ მიმავალ გველს იმ წუთში გაჩერდება, შეიძლება ხელშიც აიყვანო.

მთქმელი – **ნათელა ხურცილავა**, 52 წლის, მცხოვრები სოფელ სალხინოში.

ჯირკვლის გამოსვლა ბარძაყში

ბუხუ, ბუხუ, გვერთოფუ, ტოლოხუ სოლო გათანე, ფერცხ(ი) მოკვათე, ბეწვი ოტოლე დო კუ, ფუი ასე გააქარვე ყველა, წმიდა ღვთის მშობელო!

შელოცვის დროს ერთი მწიკვი მარილი უნდა ჩააგდო ჭიქაში და უნდა ღამე გააჩერო, დილით ჯირკვალი გამქრალი იქნება.

გათვალული

სახელითა, ღვთითა, ლოცვა ნათვალევისა.
მე გილოცავ ცხრა ათასი კაცისასა,
ცხრა ათასი ქალისასა.
თეთრისა თეთრ ფარვანისასა,
შავისა შავგრემანისასა.
გადიარა მთაზე,
თავი დაკრა ქვაზე.
ასიცილი, მას სიკვდილი
ვინც ავი თვალით შემოგხედოს.

შემლოცველი ულოცავს წყალს, ნუგბარს საჭმელს სამჯერ. ამ დროს ხელში უჭირავს დანა. შენალოცი წყალი ან საჭმელი არ უნდა დარჩეს, ყველა შეჭამოს ან დალიოს ვისაც შეულოცავენ.

დასუნული

აფაქია, ნაზარია, კვარწახია, ნაშურია ფუი, ასე გააქარვე ყველა, წმიდა ღვთის მშობელო.

თარგმანი:

აფაქია, ნაზარია, კვარწახია (გადადუღებული, შესქელებული ტყემალი), დასუნულიაფუი, ასე გააქარვე ყველა, წმიდა ღვთისმშობელო.

ფეხმძიმე (ორსული) ქალისათვის

პირველი ვარიანტი

ასიაო, მასიაო, მწუხარობასიაო, ჩე გოლაშა ეკოვრთი, ჩე ტარამი ხამი ეკიბღი, ჩე ქუას გეუსვი, ჩე ქონი ქიმიბრი.

თარგმანი:

ასიაო, მასიაო, მწუხარების დროს თეთრ მთაზე ავედი, თეთრტარიანი დანა ავიტანე, თეთრი ქონი ჩამოვიტანე.

მეორე ვარიანტი

ასიაო, მასიაო, მწუხარობასიაო, ჭითა გოლაშა ეკოვრთი, ჭითა ტარამი ხამი ეკიბღი, ჭითა ქუას გეუსვი, ჭითა ქონი ქიმიბღი.

თარგმანი:

ასიაო, მასიაო, მწუხარების დროს წითელ მთაზე ავედი, წითელტარიანი დანაავიტანე, წითელ ქვაზე გავუსვი, წითელი ქონი ჩამოვიტანე.

ფუი ასე გააქარვე (იტყვის სახელს, ვისაც ულოცავს) ტკივილი.

შენიშვნა: ერთჯერ უნდა ითქვას თეთრი, მეორეჯერ – წითელი, სულ ცხრაჯერ.

ასე ულოცავენ ორსულ ქალს, რომელიც ან დაეცა და რამე იტკინა, ან ისედაც შეუძლოდ გახდა.

ნაუჭმურევი

თუთაშხას მოხვადუო?
თახაშხას მოხვადუო?
ჯუმაშხას მოხვადუო?
ცააშხას მოხვადუო?
ობიშხას მოხვადუო?
საბატონს მოხვადუო?
ჟაშხას მოხვადუო?
გინუ(ი)ას მოხვადუო?
მინუ(ი)ას მოხვადუო?
ღაის მოხვადუო?
მინდორს მოხვადუო?
გუუტენქ დო გოგიტენქ,
ვარდა ვაგოგიტენქ.
დუღას რჭუნქ(უ)
დაჩხირს რჭუნქ(უ)
ართი მუმუი თიჯგუა მიუნს
ქიმიოყიანს(ი) თექ
ქეგკოპანჯანს, თექ
ქეგგოჟამანს.
ფუი, ასე გააქარვე (ვისაც ულოცავს იმის სახელს იტყვის) ჟამი

თარგმანი:

ორშაბათს მოხდა?
სამშაბათს მოხდა?
ოთხშაბათს მოხდა?
ხუთშაბათს მოხდა?
პარასკევს მოხდა?
შაბათს მოხდა?
შემოსვლისას მოხდა?
გადასვლისას მოხდა?
დილისპირას მოხდა?
მინდორში მოხდა?
თუ გაუშვებ გაგიშვებ,
თუ არადა არ გაგიშვებ.
მდუღარეში დაგჭვავ,
ცეცხლში დაგწვავ.
ერთი მამალი ისეთი მყავს
რომ მიაყივლებს
იქ ჩაგაქვესკნელებს,
იქ უჟმური აგყვება.
ფუი, ასე გააქარვე (ვისაც ულოცავს, იმის სახელს იტყვის) ჟამი.

მლოცველს შელოცვის დროს უჭირავს შავტარიანი დანა, რომელსაც ორივე მხარეზე ამოძრავებს, მერე ცეცხლზე სამჯერ გადაატარებს.

მთქმელი: **ფოთოლა ბასილაია**, 54 წლის, მცხოვრები სოფელ სალხინოში.

შაკიკი (თავის ტკივილი)

შაკიკი შემომეჩვია
საღამოს და დილასაო,
ისე ჭამდა რკინასაო,
როგორც ხარი თივასაო.
გაუეყრა წმიდა გიორგი
გაიპარა დილასაო.
რა ქარი ხარ
შავ ქარი ხარ,
შავწითელი, ცხვირშავი
ქარი ხარ!

შემლოცველი ამას სამჯერ იმეორებს მზის ამოსვლამდე. ნახშირით კარის ძგიდეზე სამ ადგილას სამჯერ აკეთებს (გადახაზავს) ჯვარს.

კონკურსი

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

დასუნული საჭმლისგან ენის გამოყრა

„ცა, მარია ქოქობინა
ენაზე კოკობინა“

მთვარიან ღამეს გამოხვალ გარეთ, ენას გამოყოფ, მთვარეს შეხედავ და სამჯერ გაიმეორებ ამ სიტყვებს.

წელის მოწყვეტა

ადამიანიასი სქუას (ვისაც ულოცავს იმის სახელს იტყვის) ოჭიშიქ ქუჭყორდ(უ), ჯიქი გაშვეინე დო ვარია. მაშვეინედა მა უშვეენქ, ვარდა ქრისტე სი ქიმეხვარია.

თარგმანი:

ადამიანის შვილს (ვისაც ულოცავს იმის სახელს იტყვის) წელი ეტკინა. ჯიქი! შეგიძლია უშველო თუ არა. შენ თუ ვერ უშველი, მე ვუშველი, თუ არა და ქრისტე თმერთო, შენ დაეხმარე.

სულთა ხსენების დღე ანუ ლიფანე

იდეის ავტორი – ნიკა ჩხეტიანი
ხელმძღვანელი – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ეკა წულუკიძე
სკოლის დირექტორი – გულო ვიბლიანი
მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა

განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ სვანეთში გარდაცვლილებს. ჩვენში ღრმად სწამთ, რომ სული, ხორცთან განშორების შემდეგ, განაგრძობს არსებობას, რომ ამქვეყნად მყოფებმა ისინი ყოველთვის უნდა გაიხსენონ და პატივი სცენ. სულთა მოხსენიების დღეებში ყველა ოჯახი სახელდახელოდ ემზადება, ამზადებენ საუკეთესო და მრავალფეროვან კერძებს, რადგან სჯერათ, თუ სახლში სტუმრად მოსულ ოჯახის გარდაცვლილთა სულებს საკადრისად არ გაუმასპინძლდნენ, საუფლოში კუთხეში ღარიბულ სუფრას უსხედანო, ხოლო სხვები მდიდრულს. ამიტომ ყველა ცდილობს, თავიანთ ახლობელთა სულები საუფლოში ნაწყენი არ გაუშვან.

ფარის თემში და, ზოგადად სვანეთში, თავისებურებით გამოირჩევა შობის დღესასწაული. შობა ღამეს ოჯახი ამზადებს საკურთხს სულებისათვის, სუფრაზე აუცილებელია კორკოტი, აცხობენ ლობიოანებს, ამზადებენ სხვადასხვა სამარხო კერძებს. ითვლება, რომ ამ ღამეს ოჯახის გარდაცვლილთა სულები სახლში მოდიან სტუმრად. დიასახლისი გაშლის სუფრას, სკამებს გამოწევს, სულთა დასაჯდომად, კარს გააღებს, თვითონ მაგიდასთან ჩაცუცქდება და სულებს სთხოვს, დაიფარონ ოჯახი ყოველგვარი ცუდისა და ბოროტისაგან, მიიღონ ის, რაც მათთვის მომზადდა და ოჯახს ყოველივე კარგი დაავანონ, ხოლო მამაკაცი ამ დროს ფეხზე დგას და ჭიქა არყით შეუნდობს, სთხოვს ოჯახის მფარველობას.

სულები ოჯახში სამი დღე რჩებიან, სამი დღის განმავლობაში დიასახლისი ზრუნავს სულების პატივისცემაზე, ოჯახი ცდილობს მშვიდად და უხმაუროდ იყოს, რათა არ დააფრთხონ სულები. მესამე დღეს სულები მიდიან თავიანთ საუფლოში სათათბიროდ, ანუ ლალხორთე. აქ წყვეტენ ოჯახის ავ-კარგს, საღამო ჟამს უკან ბრუნდებიან და მათ დიასახლისი ახვედრებს ცხელ ფაფას ან ღომს, რომელსაც ოხშივარი ასდის. ეს აუცილებელია, რადგანაც ითვლება, რომ სულები გათოშილები მოდიან და თბილი კერძი მადლია მათთვის. იმ ღამეს სუფრა მთელი ღამეა გაშლილი, დიასახლისმა ღამის განმავლობაში სამჯერ უნდა წაუქციოს ჭიქა. გამთენიისას დიასახლისი გააცილებს სულებს, სთხოვს კარგი ფეხი დაუტოვონ ოჯახს, მშვიდობა და სიკეთე დაბეჭდონ და კარს უღებს, მაგიდიდან კარამდე არაყს უქცევს, თითქოს გზას უჩვენებს.

ზოგჯერ ეს დღეები მოკლდება და სამ დღეს გრძელდება, ამ მოვლენას ხორკობს უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ ეს წელი ნაკლებად მოსავლიანი იქნება.

ამდენად, სვანურ რეალობაში ეს უცნაური, თითქოს მითოსური ჩვეულებები ჯერ კიდევ არსებობს და სვანი კაცის კულტურის ნაწილია.

გარდაცვალება და გასვენება

ნაშრომის ავტორი – მარიამ დადეშქელიანი
ხელმძღვანელი პედაგოგი – ეკა წულუკიძე
სკოლის დირექტორი – გულო ვიბლიანი
მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა

როდესაც დგება ჟამი ხორცისა და სულის გაყრისა, სვანი კაცი მომაკვდავს თავთან სანთელს უნთებს, რაც სიმბოლურად ნიშნავს, რომ სულს გზას უნათებს საუფლოსკენ. იმ შემთხვევაში, თუკი მომაკვდავი ძალიან წვალობს, სული ძნელად ტოვებს ხორცს, ამბობენ, ამ ქვეყნად რაღაც მძიმე ცოდვა აქვს ჩადენილი და იმიტომაც უჭირს სულს საუფლოში მოხვედრაო. ამ დროს ოთხი კაცი ავა სახურავზე და გადახდის იმ ადგილს, სადაც მომაკვდავი წევს, თითქოს სულს გასასვლელს უთავისუფლებენ, როგორც კი სახურავს ახდიან, მომაკვდავი იმწუთშივე დალევს სულს. ეს ჩვეულება საუკუნეებით გამოცდილი და დაკვირვებით შემუშავებულია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

გარდაცვალების შემდეგ ხდება მკვდრის გაპატიოსნება. მკვდარს ბანენ, აცმევენ უხმარ თეთრეულსა და ტანსაცმელს.

მკვდარი ხუთი დღის განმავლობაში დასვენებულია ოჯახში, მთელი ამ ხნის განმავლობაში ოჯახში გლოვაა, ოჯახი მარხულობს. ქალები დილიდან მზის ჩასვლამდე მოთქვამენ და ტირიან, მთელი დღეების განმავლობაში მოდიან ახლობლები სხვადასხვა სოფლებიდან, რათა გაიზიარონ ოჯახის ტკივილი.

განსაკუთრებით გვერდში უდგანან გაჭირვებულ ოჯახს მეზობლები. მთელი ხუთი დღე, გასვენებამდე, ფარის თემში დაწესებულია ე.წ. მორიგეობა – ყოველ დღე ორი-სამი ოჯახი ამზადებს სამარხო კერძებს და მიაქვს გარდაცვლილის ოჯახში, შლიან დიდ სუფრას მკვდართან, შემოდიან მამაკაცები (სამი ან ექვსი), შეუნდობენ მკვდარს და ისაუბრებენ მის სიკარგეზე. ამის შემდეგ აალაგებენ და გარეთ სათანადოდ მოწყობილ მაგიდებზე შლიან სუფრას ჭირისუფლისთვის, სამძიმარზე მოსული ადამიანებისთვის და იქ მყოფი მეზობლებისთვის. დიდ სირცხვილად ითვლება, თუკი ვინმე უპატივცემულოდ წავა ოჯახიდან. მეზობლები ამ ჟესტით გამოხატავენ ოჯახის გვერდში დგომას, რომ ოჯახი მთელი ეს დღეები გასვენებამდე არ იხარჯება, მეზობლები უმსუბუქებენ მას ამ ტვირთს. გასვენებისთვის მთელი თემის მოსახლეობა აგროვებს ერთ კილოგრამ ლობიოსა და ერთ ლიტრ არაყს და, რა თქმა უნდა, ოჯახში შეაქვთ გადასახური თანხაც.

აღსანიშნავია დატირების რიტუალი, მას სვანურად „ლილჭალ“ ჰქვია. ქალები შემოუსხდებიან მკვდარს, ერთი ქალი წამოდგება და დაიწყებს მოთქმას, წაგრძელებული ინტონაციით საუბრობს მის გარდაცვალებაზე, მის კარგ თვისებებსა და დამსახურებაზე თემისა თუ ოჯახის წინაშე. ერთი წინადადების წარმოთქმისთანავე, ქალების დანარჩენი ნაწილი „უის“ გამოძახილით აძლიერებს მწუხარების გამოხატვას. სვანეთში დიდ სირცხვილად ითვლებოდა, თუკი მკვდარს არ ჰყავდა სათანადო ჭირისუფალი. მამაკაცები მკვდართან შესვლისას მოთქვამენ და გადაჯვარედინებული ხელისგულებით შუბლზე ირტყამენ დიდი მწუხარების ნიშნად. გასვენების დღეს მამაკაცები, ქალების მოთქმის პარალელურად, ამბობენ ზარს. ზარის წარმოთქმა ყველას არ შეუძლია, მხოლოდ ძლიერი ბანის მქონე მამაკაცები. ზარის წარმოთქმა ერთი ბგერის – „ო“ ბგერით – ხდება, იცვლება მხოლოდ ტონალობა.

მიცვალებული მზის ჩასვლამდე უნდა დაასაფლავონ. მკვდრის უკანასკნელ გზაზე გაცილებისას ტარდება გარკვეული ცერემონიალი. შემოდის სამი ან ექვსი მამაკაცი ხელში სანთლებით და ჭიქა არყით, წარმოთქვამენ შესანდობარს, გზას ულოცავენ საუფლოსკენ, შემდეგ ოთხი კაცი იღებს კუბოს და შეატრიალებენ მარცხნიდან მარჯვნივ. სამჯერ შემოაბრუნებენ კარის მიმართულებით, კართან ხვდება ოჯახის ერთგული ქალი თეთრი თავსაფრითა და სანთლით ხელში, რაც ნიშნავს, რომ ქალი შესთხოვს მიცვალებულს, კარგი ფეხი დაუტოვოს ოჯახს.

ჭირისუფალი მიცვალებულს საფლავამდე კივილით მიაცილებს, საფლავზე კვლავ დაიტირებს და ახლობელი მამაკაცი, რომელიც ორატორობით გამოირჩევა, წარმოთქვამს სიტყვებს მიცვალებულის დამსახურებაზე და დაულოცავს უკანასკნელ გზას. კუბოს მიწაში ჩასვენებამდე მიცვალებულის დედა, და ან ახლობელი ხტება საფლავში, თითქოს სჯერათ, რომ ამით უმსუბუქებენ საფლავის მძიმე ტვირთს.

ამის შემდეგ, ამოიყვანენ ქალს და ჩაასვენებენ კუბოს, იქ მყოფი ადამიანები მიაყრიან თითო მუჭა მიწას და ბრუნდებიან მიცვალებულის ოჯახში, სადაც ხალხის საპატივცემულოდ გაშლილია სუფრა სამარხო კერძებით.

იმავე ღამეს, ჭირისუფალი გადის საფლავზე და ცეცხლს ანთებს. მიაჩნიათ, რომ სულს ეშინია და ცეცხლით ბოროტი ძალები იდევნება და სულს საუფლოსკენ გზა უნათდება. პარალელურად, მიცვალებულის ოჯაში იკვლება საკლავი და მზადდება სუფრა, ამ წესს პირის გახსნას უწოდებენ. მთელი კვირა ოჯახი მარხულობს, იმ საღამოს იხსნის მარხვას და საკურთხს უმზადებენ მკვდარს.

პირის გახსნის საღამოსვე ოჯახი მიცვალებულს უდგამს საკურთხს, რომელსაც „ლეგემს“ უწოდებენ, ეს საკურთხი ოჯახში რჩება ორმოცამდე ან წლისთავამდე. ეს არის მიცვალებულისათვის გამოყოფილი კუთხე, პატარა მაგიდა სხვადასხვა ნუგბარით, ტკბილეულითა და სასმელით გაწყობილი, მაგიდას მიდგმული აქვს სკამი, რომელზეც დევს ბალიში, გვერდზე საწოლი, სადაც მიცვალებულის ტანსაცმელია გაშლილი. ოჯახი ამ მაგიდას ისე უვლის, თითქოს მიცვალებული იქ იყოს.

მთელი წელი ოჯახში გლოვაა, ყველა სულთა ხსენების დღეს იკვლება საკლავი და მზადდება დიდი სუფრა. პატიჟობენ მთელ თემსა და ახლობლებს. წელიწადში მკვდრისთვის იკვლება თორმეტი საკლავი.

ამდენად, ჩვენს თემში გარდაცვალება და გასვენება ბევრ საინტერესო წესსა და ჩვეულებასთანაა დაკავშირებული.

ლამპრობა

იდეის ავტორი – დათა ნარსავიძე
ხელმძღვანელი პედაგოგი – ეკა წულუკიძე
სკოლის დირექტორი – გულო ვიბლიანი
მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლა

სვანეთი ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და ტრადიციის მქონე კუთხეა. სვანი კაცის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ლოცვას. მფარველად ის თვლის წმ. გიორგის, ანუ „ჯგურაგს“. ამით აიხსნება ალბათ ის ფაქტი, რომ ყველა დღესასწაულისას ლოცვა მიმართულია ჯგურაგისადმი, სვანური სუფრაც სწორედ „ჯგურაგის“ საგალობელით იხსნება და მესამე ჭიქით წმ. გიორგის მფარველობასა და ქუდის დამხურავთა, ანუ მამაკაცთა სიმრავლეს შესთხოვენ.

უჩვეულო და ორიგინალური დღესასწაულია ლამპრობა, რომელიც წმ. გიორგისადმია მიძღვნილი. ზუსტად არავინ იცის, საიდან იღებს სათავეს ეს, ერთი შეხედვით, წარმართული, ცეცხლთაყვანისმცემლობის დროინდელი ელემენტი – ცეცხლი, მაგრამ სვანი კაცი მას არ აიგივებს წარმართობასთან, წმ. გიორგისადმი მიძღვნილ კელაპტრად თვლის, როგორც სანთელს უფლისადმი ანთებულს.

ლამპრობის დღესასწაულს განსაკუთრებულად აღნიშნავენ ფარის თემში. ჩვენში ამ დღეს დიდი ლოცვა და მხიარულებაა, შორსმყოფი ოჯახის ყველა წევრი ერთად იკრიბება და აღნიშნავს ამ დიდ დღეს.

ლამპრობის დღესასწაული მოძრავია, აღდგომის დღესასწაულიდან უკან რვა კვირას ითვლიან და ასე ადგენენ თარიღს, ის თებერვლის პირველ რიცხვებს ემთხვევა.

დღესასწაულამდე სამი თვით ადრე სვანი მამაკაცი მიდის ტყეში და ჭრის საშუალო სისქის არყის ან თხილის გრძელ ტოტებს. სახლში მოტანილ ტოტებს, აწყობს გამოსაშრობად. ლამპრობამდე ერთი კვირით ადრე ხდება გამომშრალი ტოტების დამუშავება. დაანთებენ კოცონს, ზედ რამდენიმე წუთს ატრიალებენ სალამპრე ტოტს, რათა დარბილდეს, შემდეგ მძიმე ურთი დაჩეჩქავენ, ნაპრალებში ჩააწყობენ კვარს და გასაშრობად მზეზე დააწყობენ. ოჯახში იმდენი ლამპარი მზადდება, რამდენიც მამაკაცია, დამატებით სამი – წმ. გიორგის ლამპარი, რომელთაგან ერთს წინა საამოს დაანთებენ და უძღვნიან წმ. გიორგის, მეორეს – ლამპრობის დღეს გამთენიისას, ხოლო მესამეს – ლამპრობის საღამოს.

ლამპრობის წინა ღამეს ოჯახში შემოაქვთ ლამპრები და ღუმელთან აწყობენ, რათა კარგად გამოშრეს. გამთენიისას ოჯახის უფროსი დაანთებს ღუმელში ცეცხლს, გააღვიძებს ოჯახის დანარჩენ მამაკაცებს, მოუკიდებენ ცეცხლს თავიანთ ლამპრებს, სახლში მარჯვნივ შემოტრიალდებიან, წარმოთქვამენ ლოცვას და მწყობრად გაემართებიან სოფლის შუაგულისაკენ, სადაც გამზადებულია თოვლის კოშკი, რაზეც ხდება ლამპრების დამაგრება. საუცხოო სანახავია სიბნელეში ცეცხლის მწკრივი, რომელიც თითქმის ერთდროულად გამოდის ყველა ოჯახიდან და ერთდება ერთ ადგილას, სადაც ცეცხლის ალი ცას სწვდება. ქალებს იქ მისვლა ეკრძალებათ, ისინი არ მონაწილეობენ ამ დღესასწაულში, სახლში სეფისკვერებს აცხობენ და მამაკაცებს სალოცავად ატანენ.

შეკრებისთანავე მამაკაცები შეასრულებენ წმ. გიორგის საგალობელს და სამი მამაკაცი გამოეყოფა დანარჩენებს და ატარებენ ლოცვის რიტუალს. ყველა მამაკაცს ოჯახიდან გამოაქვს სეფისკვერები და ზედაშე, ისინი აწვდიან მლოცველებს ამ სეფისკვერებს და სთხოვენ წმ. გიორგის შეავედრონ მათი ოჯახის წევრების სიმრავლე და მშვიდობა. ოჯახიდან იმდენჯერ სამი სეფისკვერი გამოაქვთ, რამდენი ოჯახის წევრიცაა. ოჯახის უფროსი მლოცველებს აწვდის სამ სეფისკვერს და სანთელს ეუბნება მის სახელს, ვისთვისაც უნდა ილოცონ, მლოცველი გამოართმევს სეფისკვერებს, დაიჭერს მაღლა წმ. გიორგის ეკლესიის მიმართულებით, რომელიც ზემოდან დაჰყურებს სოფელს. შესთხოვს წმ. გიორგის: შენ დაიფარე და ამრავლე ამისა და ამის ოჯახში ქუდის დამხურავი და ა.შ. ეს რიტუალი შუადღემდე გასტანს, ამის შემდეგ იქ მყოფი მამაკაცები მიდიან ერთ ოჯახში, სადაც გაშლილი სუფრა ხვდებათ და აგრძელებენ დღესასწაულის აღნიშვნას. ყოველ წელს სხვადასხვა ოჯახი იღებს ვალდებულებას დახვდეს ლამპრობის მონაწილეებს და თავის ოჯახში აღინიშნოს ეს დიდი დღესასწაული, ამ წესს „სკარს“ უწოდებენ. თემი, რომელიც ოჯახში იკრიბება, დალოცავს მასპინძელს და წმ. გიორგის ამ ოჯახის სიმრავლესა და კარგად ყოფნას შესთხოვს.

დაღამებისას თითოეული ოჯახი აანთებს წმ. გიორგის მესამე ლამპარს.

ამრიგად, ლამპრობა განსაკუთრებული დღეა სვანი მამაკაცების ცხოვრებაში, მას ღრმად სწამს, რომ წმ. გიორგი შეისმენს მათ ლოცვას და ქუდის დამხურავთა სიმრავლე ყოველთვის იქნება მათ ოჯახებში.

დასასრული
შემდეგ ნომერში

თვალსაზრისი

პედაგოგიური კოლექტივის მართვა საჯარო სკოლაში

ასმათ შამუგია

დასასრული. დასაწყისი იხ. №10

პროფესიონალი პედაგოგიური კადრების მომზადება ნებისმიერი სახელმწიფოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი არსებითი ამოცანაა. ეს იმითაა განპირობებული, რომ ქვეყნის, როგორც ორგანიზებული საზოგადოების, ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ძლიერი განათლების სისტემა. მასობრივ ცნობიერებაში ამგვარი საგანმანათლებლო სისტემა ძლიერ სკოლასა და პროფესიონალ პედაგოგიურ კადრებთან ასოცირდება. ეს ჭეშმარიტება ცივილიზებული სამყაროსთვის დიდი ხანია ცნობილია. ამიტომ კადრების განვითარებაზე სერიოზულად ზრუნავს ყველა სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზანი – იყოს მსოფლიო თანამეგობრობის განვითარებული წევრი, გვავალდებულებს, საქართველოს მოქალაქეებს მივცეთ ისეთი განათლება, რომელიც დაეხმარება მათ, იყვნენ კონკურენტუნარიანები შრომისა და განათლების საერთაშორისო ბაზრებზე. ამ მიზნის განხორციელებას ყველაზე მეტად ემსახურება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელიც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მუდმივი თანამშრომლობით, ორგანიზაციისა და მართვის გამჭვირვალე და მოქნილი თანამედროვე სისტემით ხელმძღვანელობს.

სკოლის ორგანიზებასა და მის ეფექტურ მართვაზე ზრუნვა ხელმძღვანელის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. დირექტორმა, პედაგოგების მეთოდურ სამსახურთან აქტიური თანამშრომლობის გზით, ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში სწავლა/სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევა-შენარჩუნებას, მოსწავლეების სწავლების შედეგების გაუმჯობესებას, წამახალისებელი და საიმედო სასკოლო გარემოს შექმნასა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას ისე, რომ მინიმალური დანახარჯებით (ფინანსური, მატერიალური, შრომითი, ორგანიზაციული, დროის და სხვ.) მიაღწიოს პოზიტიურ შედეგებს. სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებთან, ასევე, საგნობრივ კათედრებთან შეთანხმებით, მოახდინოს კოლექტივის აკადემიური დიფერენცირება, გამოკვეთოს საერთო პრობლემური მხარეები, დაადგინოს სკოლაში მომუშავე მასწავლებლების კატეგორიები მათი მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და წახალისების სისტემის შექმნის მიზნით. პედაგოგების კატეგორიებად დაყოფის დროს, მეთოდურმა სამსახურმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს – დაეყრდნოს განმანათლებლების პროფესიულ მონაცემებს (დიპლომი, სტაჟი, პროფესიული მიღწევები, მოსწავლეთა წარმატებები და სხვ.).

სკოლის ხელმძღვანელი დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს დამწყები (ახალბედა) მასწავლებლის საქმიანობას, რათა: 1. იგი არ „შეშინდეს“ და არ აღმოჩნდეს იმედგაცრუებული; 2. იგრძნოს არჩეული პროფესიით განცდილი პირველი სიხარული; 3. შეიყვაროს პროფესია, პერმანენტულად აიმაღლოს კვალიფიკაცია და განუვითარდეს პედაგოგიური უნარ-ჩვევები.

დამწყებ მასწავლებლებთან თანამშრომლობა, სასურველია, დავიწყოთ მუდმივი მისი პროფესიული განვითარების რეჟიმში „ჩასმით“, დახმარებითა და არა გაუთავებელი შემოწმებითა და „ჩხრეკით“. მიუხედავად იმისა, თუ რა ისწავლა მან უნივერსიტეტში, სტუდენტობის წლებში, საჭიროა ნასწავლის სრულყოფა და გამოცდილების პრაქტიკული გამდიდრება. მუშაობის დაწყებისთანავე, სასურველია, შევახსენოთ დიდაქტიკის საფუძვლები.

დამწყებ პედაგოგებს, ამ და მრავალ სხვა საკითხზე, უნდა მივაწოდოთ საჭირო ინფორმაცია და მივუთითოთ შესაბამისი წყაროები. ამისათვის, კონსულტაციების გაწევის მიზნით, მეთოდურმა სამსახურმა უნდა შეიმუშაოს ეფექტიანი მუშაობის სტრატეგია, რათა გააცნოს მასწავლებლებს დიდაქტიკის ძირითადი კანონები, კომპლექსური და დიფერენცირებული პროგრამების მოთხოვნები, ზოგადსაგანმანათლებლო პროცესების ეფექტიანი მართვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ასპექტები, სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდები და მიდგომები და სხვ.

XXI საუკუნეში, ინოვაციური სწავლების პირობებში, მკვეთრად შეიცვალა განმანათლებლის მიმართ წაყენებული პროფესიული მოთხოვნები. ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობისა და აქტიურობის სტიმულირება. ამიტომაც, დადგა დღის წესრიგში სასწავლო პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის აუცილებლობა. თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ დამწყებმა პედაგოგმა ყოველი გაკვეთილი ფსიქოლოგის ან გამოცდილი კოლეგის დასწრებით ჩაატაროს. საქმე ეხება მთელ კლასთან მუშაობის ჩვევების დაუფლებას, მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, სწავლასა და აღზრდაში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას.

დამწყებმა პედაგოგმა, ფსიქოლოგისა და გამოცდილი მასწავლებლის რჩევების გათვალისწინებით, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების ამოცნობა და დაფიქსირება უნდა შეძლოს, ასევე მიმიკით, გამოხედვით, საუბრის ტონით ფსიქოლოგიურად კომფორტული ისეთი კლიმატის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვების ყურადღების კონცენტრირებას, გახსნილობას, რაც განმანათლებლისგან „სამსახიობო ნიჭსაც“ კი მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სკოლას თავისი „ფსიქოლოგიური კლიმატი“, „ურთიერთობის სტილი“, „პედაგოგიური ხელწერა“აქვს. დამწყები მასწავლებელი აუცილებლად უნდა გაეცნოს სკოლის ძირითად მახასიათებლებსა და კოლეგებთან ურთიერთობის სტილს. თუ სკოლაში კარგი „კლიმატია“, ყველა მასწავლებელი ეცდება, დაეხმაროს ახალგაზრდა კოლეგას; რაც შეეხება მშობლებთან ურთიერთობას, აქ მეტი სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც ისინი ნაკლებ თავშეკავებულობას იჩენენ დამწყები პედაგოგის მიმართ, ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი ფსიქოლოგიური აქსიომა – *ურთიერთობის კარი გააღე მხოლოდ შენკენ!*

ჩვენ ვიზიარებთ განათლების ექსპერტის **გიორგი ლაცაბიძის** მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის ხელმძღვანელი ძალიან კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებსა და ცვლილებების განხორციელების სტრატეგიაში.

ეფექტურად დაგეგმილი სტრატეგია ორგანიზაციის გამარჯვების საწინდარია. ეს არის მთავარი მექანიზმი, რომელზეც ამა თუ იმ დანესებულების წარმატებაა დამოკიდებული. XXI საუკუნეში, როდესაც საქართველოში საჯარო სკოლა თვითდაფინანსებაზე გადავიდა, დირექტორი მოიაზრება არა მარტო სკოლის ადმინისტრატორად და ხელმძღვანელად, არამედ სტრატეგიის ავტორადაც. უკვე ეჭვი აღარავის ეპარება იმის აუცილებლობაში, რომ სკოლამ უნდა შეიმუშაოს არსებულ ვითარებასთან მორგებული ეფექტური სტრატეგია, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებს.

დღევანდელი განათლების რეფორმის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად სკოლის დირექტორი მოიაზრება. ფაქტობრივად, იგი „ლიდერი-მედროშეა“. ასეთი ხელმძღვანელი ფლობს სასურველი მომავლის განჭვრეტის უნარს და იცის მისი მიღწევის გზებიც. სწორედ სკოლის მმართველი (მენეჯერი) განსაზღვრავს მიმდინარე პროცესების ხასიათს, ტემპსა და მათი გარდაქმნის ხერხებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ჩახედული სპეციალისტები (**გია მურღულია, ნანა მონიავა, ბელა კოპალიანი, თამარ კაპანაძე, ნელი წიკლაური** და სხვ.) მიიჩნევენ, რომ სასწავლო პროცესში მაღალი ხარისხის მიღწევა და შენარჩუნება, მოსწავლეების აღზრდის გამართული სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, სკოლის უმთავრეს მიზანს და ამოცანას წარმოადგენს. სამეურვეო საბჭომ და ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს.

უმნიშვნელოვანესია გავითვალისწინოთ, რომ მართვის მრავალკომპონენტიანი სისტემა გონივრულ დაგეგმვასა და ბევრი ადამიანის შეთანხმებულ, კოორდინირებულ მუშაობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, სრულიად ნათელია, რომ მხოლოდ კონკრეტული სკოლის ძალისხმევით სწავლების ხარისხის პრობლემა ვერ გადაწყდება, რადგან სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის აქტიური თანადგომის გარეშე წარმატების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

პედაგოგიკა ხშირად განიხილებოდა მხოლოდ გამოყენებით ასპექტში და არც ისე ბევრი მეცნიერი მუშაობდა მისი თეორიული ფუნდამენტის გამყარებაზე. კარგი თეორიის გარეშე კი, ბუნებრივია, არ არსებობდა სრულყოფილი პრაქტიკა. ეს ეხება როგორც მთლიანობაში განათლების დარგის, ისე კონკრეტული სკოლების მართვას.

სკოლის საქმიანობისა და მართვის პროცესის ანალიზის მიზანი მდგომარეობს არა მხოლოდ სოციალური მართვის პროცესში სკოლის სპეციალური ფუნქციების გამოყოფასა და შეფასებაში, არამედ იმაში, რომ, მართვის თეორიის შესაბამისად, პრაქტიკაში შემოვიტანოთ ანალიზის ისეთი ერთეულები, რომლებიც სკოლის მართვის უზრუნველყოფის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტების ანარეკლს მოიცავენ.

სკოლის მართვა მნიშვნელოვნად განსხვავდება საწარმოს ან ორგანიზაციის მართვისაგან. იგი არსებით სახეს მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც კონკრეტული პედაგოგიური შინაარსით ივსება და ორიენტირებულია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფასა და საბოლოო შედეგზე – მოსწავლის პიროვნების განვითარებაზე.

სასკოლო პრაქტიკაში, მმართველობითი საქმიანობის დროს, მართვის სხვადასხვა ფორმებს ვხვდებით: სოციალურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და ა.შ. ყოველი მათგანი მართვის სისტემის შემადგენელი ელემენტია და მათი დიფერენცირება ფორმების მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიცაა. თუმცა, მთავარი, რაც განსაზღვრავს მათ დანიშნულებას სკოლაში, საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებაა. ეს ინტეგრირებული პროცესია და ერთ-ერთი ასპექტის დაუსაბუთებელმა პრევალირებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სკოლის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება განათლების და აღზრდის მხოლოდ დიდაქტიკამდე ან აღზრდის თეორიამდე დაყვანა, რადგან მათ სპეციფიკური ობიექტები აქვთ – ამოცანები და მიღწევის საშუალებები. ამასთანავე, თვითაღზრდა და განათლება ძალზე დასუსტდება სკოლის ორგანიზაციული მმართველობითი ასპექტის გამყარების გარეშე. როგორც ცნობილია, ზოგადად მართვის ჩარჩოებში არსებობს სოციალური გარემოს მართვის თეორიები და კონკრეტული დებულებები, რომლებიც კონკრეტული სოციალური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის საფუძველზე კეთდება, მართვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ განათლების მართვის თეორია ეფუძნება სოციალური მართვის ზოგად კანონზომიერებებს, ცალკეული სფეროების სპეციფიკის გათვალისწინებით, მათ შორის განათლების, რაც აისახება მართვის ობიექტებზე, ამოცანებსა და ფუნქციებზე, პედაგოგიური საქმიანობის კავშირების რთულ სისტემაზე, სხვა ტიპის საქმიანობებსა და პროცესებზე.

სკოლის მმართველი ორგანო ვალდებულია, სრულყოფილად იცოდეს სწავლების ხარისხის ამაღლების პროცესის მართვა, რომელშიც ჩართული უნდა იყოს მართვის ყველა რგოლი, დაწყებული დირექტორიდან დამთავრებული საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებით. ცნობილია, რომ ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ დირექტორის მოადგილეები, რომლებიც სისტემატურად უნდა გრძნობდნენ „სკოლის პულსს“, რადგანაც ამ უკანასკნელის შემოწმება, ძირითადად, ხდება დირექტორის, მისი მოადგილეების ან საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების დასწრებით გაკვეთილებსა და კლასგარეშე ღონისძიებებზე.

პედაგოგიური კოლექტივის მართვის სრულყოფის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივის ურთიერთთანამშრომლობის ფორმებს, შინაარსს და პროცედურებს, რომლებიც ექვემდებარებიან განვითარებას, გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად. სკოლის ხელმძღვანელისა და მეთოდური სამსახურის გუნდური მუშაობა გაზრდის პედაგოგიური კოლექტივის ყველა წარმომადგენლის პასუხისმგებლობას და ხელს შეუწყობს სკოლის განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულ მიმართულებას ბევრი საინტერესო მხარე აქვს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ რაც უფრო მეტი პროფესიონალი ჩაებმება პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობის შესწავლასა და შეფასებაში, მით უფრო მეტად გამოიკვეთება საჯარო სკოლის ხელმძღვანელის მართვის ხარისხი.

სასკოლო ღონისძიება

დიდი მამულიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა გადაწყვიტა, დიდი მამულიშვილის – ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საკონკურსო კამპანიაში ჩართულიყო.

გავეცანით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეკომენდაციო ბარათს და შევუდექით საქმეს. კონკურსში ჩართვის მსურველი VII-X კლასების მოსწავლეებიდან, 5-5 მოსწავლის მონაწილეობით, ორი ჯგუფი და სამი ინდივიდუალურად მომუშავე მოსწავლე გამოიკვეთა. კონკურსში მონაწილე მოსწავლეებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საპრეზენტაციო თემების დამუშავების, შევსებადახვენის თვალსაზრისით. მათ მოიძიეს მასალები ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ ურთიერთობის, მატერიალური კულტურის ძეგლების მოძიებისა და მოვლის, საქართველოს ეროვნული საგანძურის საზღვარგარეთ მოვლა-პატრონობის, საქართველოს ისტორიული თუ ლიტერატურული ძეგლების გამომზეურება-აღდგენის საქმეში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკონკურსო ნამუშევრების შესაფასებლად შეიქმნა კომისია. კომისიის შემადგენლობაში, დირექციის წევრების და მასწავლებლების გარდა, შეყვანილ იქნენ მეთორმეტეკლასელები. მოსმენილ იქნა კონკურსის მონაწილე მოსწავლეთა ორი ჯგუფის და სამი ინდივიდუალურად მომუშავე მოსწავლის საკონკურსო ნამუშევარი.

კონკურსის მსვლელობაში გამოიკვეთა გამარჯვებულ მოსწავლეთა ჯგუფი: **სამირა მახაროვას, აიშან იხტიაროვას, რათხან იბრაგიმოვის, გულისტან სულეიმანოვის, ალბინა დუნიაევას** შემადგენლობით. გამარჯვებული ჯგუფის ნამუშევარი შემდგომ საკონკურსო ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

აზიზ აბაზოვი
ყარაჯალის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ჩემი საქართველო აქ არის

ანა ფირცხალაიშვილი

ამ ურთიერთობას შარშანწინ ჩაეყარა საფუძველი. 138-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, **თამარ მამულაშვილი,** ინტერნეტის მეშვეობით, საინგილოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დანგრეული სკოლის შესახებ საზოგადოება „ქურმუხელის“ თავმჯდომარეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ **ირაკლი სარდალაშვილს** ესაუბრა. ვირტუალური მიწერ-მოწერა დიდხანს არ გაგრძელებულა. სკოლამ ერთხმად მიიღო დაზარალებულთა დახმარების გადაწყვეტილება და ოპერატიულად გაიგზავნა ჰერეთში – ალიბეგლო, კახის №2 სკოლა და ალათემოს საბავშვო ბაღი – ყველა კლასის ყველა სახელმძღვანელო, რომელიც, რა თქმა უნდა, 138-ე სკოლის მოსწავლეებმა თანატოლებისთვის შეაგროვეს. ქალბატონმა თამარმა ვირტუალურ ნაცნობთა წრე მალე გააფართოვა და ირაკლის გარდა ილიას უნივერსიტეტის ინგილო სტუდენტებს, **ზაზა** და **თემურ სუყაშვილებსაც** დაუმეგობრდა. მათი გაცნობა სკოლაში შედგა – მასპინძლებმა საინტერესო დოკუმენტური ფილმი „ზღვარი“ აჩვენეს სტუმრებს. ჰერეთის ისტორიის, მისი კულტურისა და ტრადიციების ამსახველმა ფილმმა ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე.

შარშან კი ეს ურთიერთობა უკვე ოფიციალურ დონეზე გაგრძელდა. თბილისის 138-ე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს **მაია კახნიაშვილსა** და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის №2 საჯართო სკოლის ქართული სექტორის ხელმძღვანელს **შორენა პაპიაშვილს** საერთო ენის გამონახვა არ გასჭირვებიათ. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში, რომელსაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი, სხვა პუნქტებთან ერთად, ისიც წერია, რომ „...მემორანდუმის ფარგლებში იღებენ ვალდებულებას, იყვნენ მეგობარი სკოლები და უზრუნველყონ მოსწავლეთა ჩართვა ერთობლივი პროექტებით დაგეგმილ ღონისძიებებში“. პირველი ასეთი შეხვედრა, რომლისთვისაც 138-ე სკოლელები საგანგებოდ ემზადებოდნენ, უკვე შედგა. 15 მოსწავლე სამ მასწავლებელთან ერთად (**შორენა პაპიაშვილი, გია პაპიაშვილი, იამზე დუკაშვილი**) თბილისს ეწვია. როგორც აღმოჩნდა, მარტო სკოლა კი არა, მთელი დასახლება ელოდა მათ ჩამოსვლას, ახლო-მახლო კორპუსების მაცხოვრებლები ისე შეეგებნენ ინგილო ქართველებს, როგორც დიდი ხნის უნახავ საყვარელ ადამიანებს ხვდებიან ხოლმე. ბევრმა თურმე საყვედურიც კი გამოთქვა იმის გამო, რომ ოჯახებში მათი მასპინძლობის საშუალება არ მიეცათ.

მაია კახნიაშვილი – *ძალიან დატვირთული და განსაკუთრებულად საინტერესო გამოდგა ეს ერთი კვირა. სტუმარი მოსწავლეები საცხოვრებლად თანატოლების ოჯახებში გავანაწილეთ. ჩვენმა მშობლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ არაჩვეულებრივი მასპინძლობა გაუწიეს. პედაგოგები კი ერთობლივად ინტეგრირებულ გაკვეთილებს ატარებდნენ, რაც ორივე მხარისთვის სასარგებლო და საინტერესო გამოდგა. ყველა დღე სხვადასხვა ღონისძიებით იყო დატვირთული, ძალიან ბევრი ორგანიზაცია თუ კერძო პირი დაგვეხმარა, რომ პროექტი, რაც შეიძლება მრავალისმომცველი ყოფილიყო. ვფიქრობ, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა.*

ჩანაფიქრი კი, არა მხოლოდ აკადემიურ მხარეს, არამედ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებსაც გულისხმობდა. სწორედ ამ მხრივ დაუდგა მხარში 138-ე სკოლას კინოთეატრი „რუსთაველი“, რუსთაველის თეატრი, ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმი და „ოქროს ფონდი“, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი, კომპანია „გალფი“, რესტორანი „კრწანისი“, ახალგაზრდული ორგანიზაცია „დავითიანი“, რიგითი თბილისელი **სანდრო წიკლაური**, რესტორანი „სოლოლაკის კარი“ და მისი მენეჯერი, ბატონი **კოტე შარაშიძე**, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა სტუმრების მიმართ. სწორედ ასეთი თანადგომის დამსახურებაც იყო, რომ ბევრი რამ მოესწრო სკოლაშიც და სკოლის გარეთაც – ღია გაკვეთილები ჩაატარეს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული ენის სერტიფიცირებულმა პედაგოგებმა: **მაია ტერენაშვილმა, ლიანა პაპუნაშვილმა, ნადეჟდა წიკლაურმა, მაია დალაქიშვილმა, თამარ მამულაშვილმა, იზა ურთქმელიძემ**.

ნადეჟდა წიკლაური, გეოგრაფიის მასწავლებელი: *ამ გაკვეთილისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ. არ გვინდოდა, რომ ჩვეულებრივი, რიგითი გაკვეთილი ყოფილიყო და მხოლოდ გეოგრაფიის. რაკი მცხეთაში ვაპირებდით წასვლას, შეძლებისდაგვარად, მცხეთის ისტორიის შესახებაც უნდა გვესაუბრა როგორც კულტურული, ისე რელიგიური დანიშნულების მიმართულებით. ბავშვები სიამოვნებით დამთანხმდნენ, საკითხები გაინაწილეს და მე, როგორც პედაგოგი, იმ დღეს, შესავალი სიტყვითა და გაკვეთილის შეჯამებით შემოვიფარგლე. დანარჩენი, თითქმის მთელი გაკვეთილი, ჩემმა მოსწავლეებმა:* ***სალომე ოდიშვილმა, მარიამ ბასილაშვილმა, სალომე კანდელაკმა, გიორგი ქაიხოსროშვილმა, თამთა მეტრეველმა, ანი მუშკუდიანმა წაიყვანეს.*** *პატარა ინგილომ,* ***ლუკა ტარტარაშვილმა****, ბოლოს ხალხური სიმღერაც შეასრულა.*

განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა ბოლო დღე, რომელიც სკოლის სპორტულ დარბაზში და გარეთ, მოედანზე გაიმართა და რომელსაც ფიზკულტურის მასწავლებლები – **ნინო ხუჯაძე** და **გოდერძი ოქროპირიძე** უძღვებოდნენ. შემაჯამებელ ღონისძიებაში კი, თითქმის მთელი სკოლა და ყველა სტუმარი მონაწილეობდა. ეს იყო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მონტაჟი, შეზავებული ლექსებითა და სიმღერებით. მის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: მეთერთმეტეკლასელი **გიორგი ხუციშვილი** (ტექნიკური უზრუნველყოფა), მეშვიდეკლასელი **შოთა ბორცვაძე** (მხატვრული გაფორმება); პედაგოგები – **ლიანა პაპუნაშვილი, ნინო ხარატიშვილი** და **მაია არავიაშვილი**. 138-ე სკოლის მოსწავლეები, ანსამბლ „მართვესა“ და „რუსთავის“ სოლისტები – **გიორგი დოხნაძე** და **გივი ახვლედიანი**, მოცეკვავე **გიორგი ბერიძე**.

ღონისძიებების მონაწილე ქართველ და ინგილო მოსწავლეებს სკოლის ხელმძღვანელობამ სიგელები, პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

თამარ მამულაშვილი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მასწავლებელი: *მართლაც ემოციური და დატვირთული იყო მთელი კვირა. შემაჯამებელი ღონისძიების შემდეგ რუსთაველის თეატრში „სტუმარ-მასპინძელი“ ვნახეთ, 25 ბილეთი გვაჩუქეს; მეორე დღე მცხეთაში დავყავით – სვეტიცხოველი, ჯვარი, დედათა მონასტრები – სამთავრო და ანტიოქია, წმ. გაბრიელის საფლავი და საჩუქრად წმ. ზეთი, ხატები, ფსკვნილები სტუმრებისა და მასპინძლებისთვის. მანამდე კი, თბილისის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით მიღებული დიდი შთაბეჭდილებები. ყველაფერმა ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ერთნი ვართ და რომ ამ პროექტს შემთხვევით არ ჰქვია „ჩემი საქართველო აქ არის“. ამიტომაც გაგრძელდება ეს ურთიერთობა მომავალში. დღევანდელი მასპინძლები სულ მალე სტუმრად ვეწვევით კახის ქართველებს და ერთად გადავწყვეტთ, როგორ განვითარდეს პროექტი მემორანდუმის ფარგლებში.*

გზა ოსმალეთის ქართველებისკენ

თურქეთის ნამდვილი პროფესიული კავშირების კონფერენციამ „ჰაკიში“, ქვეყნის დედაქალაქში, უმასპინძლა მსოფლიოს 43 ქვეყნის პროფესიული გაერთიანებების ქალთა კომიტეტის წარმომადგენლებს, პან ევროპული რეგიონული საბჭოს წევრებს. ქალთა II საერთაშორისო კონფერენცია ეძღვნებოდა ქალთა საერთაშორისო დღეს, თავმჯდომარეობდა „ჰაკიშის“ პრეზიდენტი მაჰმუდ არსლანი – კეთილმოსურნე და გულუხვი მასპინძელი.

ანკარაში წვეულნი – ალბანეთის, არგენტინის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, ბრაზილიის, ბულგარეთის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ერაყის, იტალიის, იორდანიის, კენიის, კოსოვოს, მაკედონიის, მალანიის, მაროკოს, ნიგერიის, პაკისტანის, პალესტინის, რუმინეთის, სომალის, სუდანის, ტუნისის... თურქეთის ქალთა გაერთიანებების წარმომადგენლები – თავს კომფორტულად ვგრძნობდით კეთილმოწყობილ სასტუმროში „Grand Ankara“, სადაც არაჩვეულებრივი გარემო და ჭეშმარიტად სოლიდარული განწყობა სუფევდა.

ორდღიანი კონფერენცია შესაბამისად დატვირთული და ზედმიწევნით განერილი იყო: სხდომებს კულტურულ-გასართობი შეხვედრა-საღამოები ენაცვლებოდა (სტუმრობა პარლამენტში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ვიზიტები საზოგადო მოღვაწეებთან, ღამის ანკარის დათვალიერება). სხდომაზე გამომსვლელთა თემატიკა მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი იყო, გლობალურს კონკრეტული პრობლემები ენაცვლებოდა, იხილებოდა ქალთა უფლებები და შრომითი პირობები, სოციალური მდგომარეობა თუ ეკონომიკური ვითარება, სუსტი სქესის დისკრიმინაციის შემთხვევები და აღმკვეთი ღონისძიებები, გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის ფორმები და სახელმწიფოთა განვითარების დონის შესაბამისად, ქალთა თავისუფლების ხარისხი.

ყოველ გამომსვლელს არსებითი დატვირთვა ჰქონდა – ქვეყნის ხასიათსა და სასიცოცხლო მუხტს გამოხატავდა, თითოეული ქალბატონის სახესა თუ ხმაში, ჩაცმულობასა თუ საუბრის მანერაში მისი სამშობლოს ტრადიცია და კულტურა გამოსჭვივოდა... ვინ ინდოელი იყო, ვინ იტალიელი, აფრიკელი თუ ბიზანტიელი, ევროპელი თუ აზიელი, ვინ უძველესი ერის წარმომავალი... ყველას კონკრეტული სახელი ერქვა... თავი გამჭვირვალე ორანჟერეაში მეგონა, სადაც მთელი სამყაროს ყვავილნარი თავს იწონებდა, რაც დღესასწაულის განცდას უფრო ამძაფრებდა და აშკარად იკვეთებოდა ქალთა ბუნების მშვენიერება: ხასიათის სიმტკიცე, სიძლიერე, სიყვარულის განუზომელი ნიჭი. ჭრელა-ჭრელა თავსამკაულის, თავსაფრების, ჩალმების, ნაციონალური კაბებისა და თანამედროვე კოსტიუმების მატარებელი ქალბატონები ჩემდაუნებურად მახსენებდნენ ჩვენს „თავსაფრიან დედაკაცებს“, მათ, ვინც ერთ საბედისწერო დილას საკუთარი ქვეყნის საზღვრებს მიღმა გაიღვიძეს და მას მერე დაერქვათ გურჯები.

ყოველი თურქი ლამაზმანისა თუ წარმოსადეგი მამაკაცის მოკრძალებულ ღიმილსა თუ თავდაჭერილ მზერაში ლაზურ ძირებსა და იმერხევის სუნთქვას ვგრძნობდი, მათში მიცოცხლდებოდნენ ბათუმელი ბეჟანიძეები, ტრაპიზონელი ლორთქიფანიძეები, ხულოელი დუმბაძეები, ხიმშიაშვილები, ქართველი მთავრის ქაიხოსრო ათაბაგის შთამომავლები თუ ქართლის მეფე ლუარსაბის მემკვიდრეები, ვინ მოსთვლის, რამდენი არიან, რამდენი მოსწყვიტეს საკუთარ ფესვებს, ვინ – ძალით, ვინ – ისტორიული კატაკლიზმების ფონზე.

9 მარტს დავტოვე ანკარა, სტამბულიდან დღისით მოვფრინავდი, ზეციდან დავყურებდი კონსტანტინოპოლის ძირძველ მიწას, გული სევდით მევსებოდა – „სად წაიყვან სადაურსა“, „ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი, ვფიქრობდი ქვეყნის წარსულზე, აწმყოზე“... ერი ერთი სულია, ერთი გული, ხორცი კი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანიაო, – უთქვამს ილიას. საქართველოს სწორედ ერთსულ-ხორც გამთლიანება სჭირდება, მათთან კავშირი და სიახლოვე, ვისაც დღემდე შემოუნახავს ქართული სული, ვისაც დღემდე ახსოვს, ვისი გორისაა...

ანკარაში მიმავალს გურჯი დამემგზავრა – ალი რიზა ალუნალი, საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე, ჯერ გამაოცა მისმა ქართულმა (XVII საუკუნის ქართულით მესაუბრებოდა), მერე გამახარა და ჩამაფიქრა მისმა ნათქვამმა: „ვიდრე შვილებს სკოლაში მივიყვანთ, მხოლოდ ქართულად ვესაუბრებით, რომ ვაგრძნობინოთ ქართული სიტყვის ხიბლი, რომ შევაყვაროთ „დედაენა“. განა სასწაული არ არის? განა შემთხვევითია ეს შეხვედრა?

ვმადლობ ქალბატონ ეთერ მათურელს, ვინც ქალთა საერთაშორისო დღეს თურქეთში გამამწესა. ვიცი, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება, მით უფრო განათლების პროფკავშირი მხარს დაგვიჭერს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ზოგადად, პედაგოგებსა და განათლების მუშაკებს სამომავლო ინიციატივის განხორციელებაში – ჩვენ არაერთი პროექტითა და პრაქტიკული საქმიანობით შევეწევით თურქეთში მაცხოვრებელ ქართველობას!

თამარ ბარისაშვილი
24-ე საჯარო სკოლის
ქართული ენის მასწავლებელი

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >